ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 18 თებერვალი, 2016 | №40 (6966) | ფასი: 50 თეთრი

18 თებერვლიდან

გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

მერაბ ნინიძის

ავტობიოგრაფიული წიგნი

მთავარია, მსახიობი

არ გამოხვიდე

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი




# ელისო ჩაფიძე ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ





გვ.3

„მინდა ვკითხო ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რის გამო ისჯებიან ტყიბულელები?!“

## თოფაძე, ტყემალაძე, ვოლსკი და ბერძენიშვილი მანდატურებმა გააშველეს





## დაპირისპირება თინა ხიდაშელის გამო

გვ.2



გვ.5

## გია ვოლსკი: „არმაზ ახვლედიანი არ იყო კარგი აღმასრულებელი მდივანი“





## ვიქტორ დოლიძე: „დასაკანონებელი მიწა ადამიანს არ უნდა ჩამოერთვას“

გვ.4

## ალექსანდრე თვალჭრელიძე: „ლარის მასა უნდა შემცირდეს“

გვ.6

„ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომ ვიყო, ყველაფერს ერთ თვეში გამოვასწორებდი“



## ევროპის ლიგა პლეი ოფით გრძელდება

გვ.9

სტატისტიკა, ფსონები

| | | | |
|---|---|---|---|
| ანდერლეხტი – ოლიმპიაკოსი | 2.62 | 3.2 | 2.75 |
| მიდტიულანდი – მანჩესტერი | 5.5 | 3.6 | 1.67 |
| ფიორენტინა – ტოტენჰემი | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| დორტმუნდი – პორტუ | 1.44 | 4.0 | 8.0 |
| ვილიარეალი – ნაპოლი | 2.75 | 3.1 | 2.7 |
| სენტ ეტიენი – ბაზელი | 2.25 | 3.1 | 3.4 |
| სევილია – მიოლდე | 1.2 | 6.0 | 17.0 |
| სპორტინგი – ლევერკუზენი | 2.45 | 3.1 | 3.0 |
| ვალენსია – რაპიდი | 1.8 | 3.4 | 4.8 |
| აუგსბურგი – ლივერპული | 3.75 | 3.5 | 2.1 |
| სპარტა – კრასნოდარი | 2.0 | 3.4 | 3.75 |
| გალათასარაი – ლაციო | 3.2 | 3.4 | 2.4 |
| სიონი – ბრაგა | 2.7 | 3.1 | 2.7 |
| შახტარი – შალკე | 2.3 | 3.2 | 3.2 |
| მარსელი – ბილბაო | 2.62 | 3.1 | 2.8 |

ISSN 1987-9385

## ანექსირებულ აფხაზეთში რუსეთი მორიგ წვრთნებს ატარებს

გვ.7

სამხრეთით მიმდინარე სამხედრო სწავლებებს ექსპერტები რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებას უკავშირებენ

# თოფაძე, ტყემალაძე, ვოლსკი და ბერძენიშვილი მანდატურებმა გააშველეს

შორენა მარსაგიშვილი

**17 თებერვლის პარლამენტის სხდომა კინაღამ ფიცხელ ბრძოლას დაემსგავსა. ზურაბ ტყემალაძემ გოგი თოფაძემ და დავით ბერძენიშვილმა თინა ხიდაშელის გამო ერთმანეთზე გაიწიეს, თან ისე სერიოზულად გაიწიეს, რომ მანდატურების გასაკავებლები გახდნენ.**

**დაპირისპირების მიზეზი კი მრეწველთა ლიდერის მიერ გაკეთებული განცხადებები გახდა. გასულ კვირას თოფაძემ თავდაცვის მინისტრს საგარეჯოს არჩევნების გაყალბებაში დასდო ბრალი, მანამდე კი ხიდაშელმა თოფაძეზე იკითხა — ეგ კაცი კიდევ დეპუტატიაო.**









დაპირისპირება ხიდაშელის გამო

თოფაძის განცხადებაზე რესპუბლიკურ პარტიას დიდი განგაში არ აუტეხავს, რადგან თოფაძემ თქვა, რომ მას ხიდაშელზე მთლად ასე არ უთქვამს. ეს განმარტება დამაკმაყოფილებელი გამოდგა როგორც პარტიისთვის, ასევე თავდაცვის მინისტრის თანამეცხედრისთვის, რომელიც პარლამენტში გოგი თოფაძის „ნაჩალნიკია".

სხვა რესპუბლიკელებისგან განსხვავებით, ეს განმარტება საკმარისი არ აღმოჩნდა დავით ბერძენიშვილისთვის. მან პარლამენტის პლენარულ სხდომაზე თოფაძის პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა, რასაც გაწევ-გამოწევა მოჰყვა.

დავით ბერძენიშვილმა აღნიშნა, რომ თინა ხიდაშელზე თოფაძის განცხადებები ანტიკოალიციური, ანტისახელმწიფოებრივი და ანტისახელისუფლებოა.

ამის შემდეგ მან მრეწველთა ფრაქციას ლამის თავმჯდომარის გადაყენება მოსთხოვა და ხაზგასმულად მიმართა ზურაბ ტყემალაძეს.

— მე მოველი მრეწველთა ფრაქციის იმ წევრებისგან, რომლებიც „ქართული ოცნების" წევრები არიან, პასუხს იმაზე, რამდენად შესაძლებლად მიაჩნიათ, ასეთ ფრაქციაში, ამ თავმჯდომარის პირობებში საქმიანობის გაგრძელება. მე მოველი მრეწველთა პარტიის ხელმძღვანელისგან, ზურაბ ტყემალაძისგან, რომლისგანაც არაერთხელ მოგვისმენია ევროპული და ევროატლანტიკური არჩევანის დამადასტურებელი პოზიციები, ამჟამად რას ფიქრობს მისი ფრაქციის თავმჯდომარის ამგვარ განცხადებებზე. არაფერ შუაშია აქ საგარეჯოს არჩევნები, — განაცხადა რესპუბლიკელმა.

მის შემდეგ სიტყვით დავით დარჩიაშვილი უნდა გამოსულიყო, მაგრამ ისეთი ამბავი ატყდა, მანდატურები დაფთებულები წამოვარდნენ ფეხზე.

◆ ◆ ◆

დავით ბერძენიშვილი მარტო იმ საგაზეთო ინტერვიუზე არ ყოფილა გაცხარებული. საქმე ისაა, რომ ამ სკანდალის შემდეგ მრეწველთა ლიდერმა ობიექტივის ეთერში კიდევ ერთი სკანდალური განცხადება გააკეთა.

მისი თქმით, თინა ხიდაშელი დიდი ხანი არ იქნება მინისტრი, რადგან მისი კანდიდატურა ამ პოსტზე შეუფერებელია.

მეწარმე, მელუდე და ფრაქციის ლიდერი თვლის, რომ თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის შუალედურ არჩევნებში უხეშმა ჩარევამ „ქართულ ოცნებას" საზოგადოების თვალში იმიჯი შეულახა და ამომრჩეველს არჩევნების ობიექტურად ჩატარების იმედი დაუკარგა.

თოფაძის განმარტებით, მას აქვს შესაბამისი მტკიცებულებები აუდიო მასალის სახით, სადაც საგარეჯოს არჩევნებში, სპეცუბნის შექმნასთან დაკავშირებით, ქ-ნ თინა ხიდაშელის ბრალეულობა იკვეთება.

— ჯარისკაცების ჩამოყვანა, ტრანსპორტირება, დისლოკაცია, კვება დიდ ხარჯებს მოითხოვდა და ასე მდიდარიც არ არის ჩვენი თავდაცვის სამინისტრო, რომ თანხები არამიზნობრივად დაეხარჯა. თუ მინისტრი იტყვის, რომ მის გარეშე გაკეთდა ეს ცვლილება, მაშინ გამოდის, რომ იგი სუსტი მინისტრია და სამინისტროში სადავეებს ვერ ფლობს, — აღნიშნა თოფაძემ.

ის მიიჩნევს, რომ სამართალდამცავები ამ საკითხით აუცილებლად უნდა დაინტერესდნენ. მისივე აზრით, დამნაშავის სათანადოდ დასჯის შემთხვევაში არჩევნების გაყალბებას ვერავინ გაბედავს.

— თუ ასეთ სერიოზულ კანონდარღვევასთან გვაქვს საქმე, კოალიციაში ნაკლებსერიოზულ დარღვევებზე მოხდა რეაგირება და კანონდამრღვევი დაისაჯა, მაშინ რატომ არ უნდა დაინტერესდეს სამართალდამცავი ორგანოები საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ გადადგმული თავხედური ნაბიჯით? არჩევნების გაყალბება სისხლის სამართლის დანაშაულია, ამ თემაზე უნდა ჩატარდეს გამოძიება და ხიდაშელი უნდა დაიკითხოს. უნდა დაისვას მისი ბრალეულობის საკითხი. ეს იქნება კარგი პრეცედენტი, რათა თავხედური ნაბიჯების გადადგმა სხვებმა ველარ გაბედონ, — აცხადებს დეპუტატი.

მრეწველთა ლიდერი არჩევნების გაყალბებაზე კი საუბრობს, მაგრამ ამტკიცებს, რომ ამ ამბავში კოალიცია უდანაშაულოა.

— არჩევნები კანონდარღვევით „ქართულ ოცნებას" არ ჩაუტარებია— არჩევნები კანონდარღვევით ჩაატარა თინა ხიდაშელმა! ვფიქრობ, რომ ეს ქალბატონი დიდი ხანი არ იქნება მინისტრი, რადგან მისი კანდიდატურა ამ პოსტზე შეუფერებელია, — განაცხადა გოგი თოფაძემ ობიექტივის ეთერში.

მისმა ძმაკაცმა და თანაპარტიელმა ზურაბ ტყემალაძემ კი დავით ბერძენიშვილს განცხადება და მისი გაკეთების ტონი დაუწუნა.

როგორც ტყემალაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ბერძენიშვილმა პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას არასწორი გამონათქვამები გააკეთა, ხოლო რაც შეეხება მის თანაგუნდელ გოგი თოფაძეს, ის არ ემიჯნება თოფაძეს, რადგან ისინი ახლო მეგობრები არიან.

— გოგის საგარეჯოში ჩატარებულ არჩევნებზე არ უსაუბრია და არაფერი უთქვამს. რაც შეეხება დანარჩენ სიტუაციაში, მე არავის არაფერში ვემიჯნები, გოგი ჩემი მეგობარია. ხოლო რაც შეეხება დავით ბერძენიშვილის განცხადებას, ეს არის არასწორი გამონათქვამი, რომელსაც კატეგორიულად ვეწინააღმდეგები, — განუცხადა ჟურნალისტებს ტყემალაძემ.

◆ ◆ ◆

თინა ხიდაშელის გამო პარლამენტში კიდევ ერთი დაპირისპირება მოხდა. სიტყვით გამოსვლისას დავით ბერძენიშვილმა ფრაქცია „ქართული ოცნების" ლიდერი გია ვოლსკიც მოიხსენია. კერძოდ, შემოსწყრა, საჯარო გამოსვლისას თოფაძე რატომ არ დაგმეო.

მას შემდეგ, რაც თოფაძე-ტყემალაძე მოიგერია, მასთან ვოლსკიც მიიჭრა და განმარტებები მოსთხოვა. ეს ბერძენიშვილმა იუკადრისა და ვოლსკის სთხოვა, სიტყვები შეარჩიეო.

სიტყვიერი დაპირისპირების იქეთ საქმე აღარ წასულა. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ვოლსკიმ თოფაძე დაგმო.

კერძოდ, ვოლსკი თოფაძეს ურჩევს, კომენტარები შეარჩიოს და წინასაარჩევნო პერიოდში არ დააზიანოს საკუთარი და მმართველი გუნდის ინტერესები.

როგორც დეპუტატმა ჟურნალისტებს განუცხადა, გოგი თოფაძის ბრალდებები თინა ხიდაშელის მიერ საგარეჯოში არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით და საგარეო კურსის თაობაზე კოალიციის პოლიტსაბჭოს სხდომაზე განსახილველ საკითხთა შორის იქნება.

— ალბათ, პოლიტსაბჭოზე მოგვიწევს ამ საკითხზე მსჯელობა. ბატონი გოგის განცხადება ამასთან დაკავშირებით, კურსთან დაკავშირებით, არჩევნებთან დაკავშირებით, არა თუ არაადეკვატურია, არამედ დამაზიანებელია პირადად მისთვისაც, კოალიციის იმიჯისთვისაც და ვთხოვდი, შეარჩიოს კომენტარები, რომლებიც ესოდენ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ესოდენ მნიშვნელოვან პერიოდში, წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებით, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

## კახა კალაძე: „მალე გაირკვევა, რამდენი სამინისტრო მოხვდება ოპტიმიზაციის გეგმაში"



საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი კახა კალაძე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ გუშინ გაჟღერებულ ინიციატივას, რიგი სამინისტროების გაუქმების შესახებ, კომენტარს უკეთებს და არ გამორიცხავს, რომ სახელმწიფო სტრუქტურების ოპტიმიზაცია მოხდეს.

— არ ვიცი, რას საუბრობდა და საუბრობს გიორგი ქადაგიძე, მაგრამ მე შემიძლია გითხრათ, რას საუბრობენ ჩვენთან გუნდში და რაზე საუბრობს ბატონი პრემიერ-მინისტრი.

ზოგადად, სამომავლოდ, შესაძლებელია, მოხდეს სახელმწიფო სტრუქტურების გარკვეული ოპტიმიზაცია. თუ რამდენი სამინისტრო მოხვდება ოპტიმიზაციის გეგმაში, ამაზე უახლოეს მომავალში ვისაუბრებთ, — განაცხადა კალაძემ.

**ნიუსპრესი**

## აგვისტოს ომის გამოძიებას ჰააგის სასამართლო ერთ თვეში დაიწყებს

თბილისში ვიზიტით მყოფმა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენლებმა შეხვედრა გამართეს იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებსაც აგვისტოს ომის საკითხზე უმუშავიათ.

როგორც 3-საათიანი შეხვედრის დასრულების შემდეგ ქართველ ჟურნალისტებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენელმა ფაქისო მოჩოჩოკომ განუცხადა, არასამთავრობო სექტორთან დისკუსიები მომავალშიც გაგრძელდება.

მისივე ინფორმაციით, აგვისტოს ომის მოვლენებთან დაკავშირებით ჰააგის სასამართლო გამოძიებას ერთ თვეში დაიწყებს.

— ჩვენ ვისაუბრეთ იმ გზებზე, რომლებითაც არასამთავრობოებთან ერთად შეგვიძლია მუშაობა. ეს იყო ძალიან ნაყოფიერი განხილვა. ვიმედოვნებ, ასევე გავაგრძელებთ დისკუსიას მომავალშიც და ველით, რომ ისინი კონსტრუქციული ფორმით ჩაერთვებიან გამოძიებაში. ჯერ ძალიან ადრეა პრიორიტეტებზე საუბარი. გამოძიება ერთ თვეში დაიწყება. ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმ მტკიცებულებებზე, რომელთა შეკრებაც მოხერხდება, — განაცხადა მოჩოჩოკომ.

თავის მხრივ, შეხვედრის მონაწილე საია-ს თავმჯდომარემ ანა ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ არასამთავრობო სექტორმა შეხვედრაზე დასვა საკითხი 2008 წლის ომის დროს ეთნიკური ქართველების წმენდის შესახებ.

— ისინი ცდილობენ ურთიერთობის დამყარებას დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნეს ასევე ისიც, რომ ეს არ ნიშნავს სამხრეთ ოსეთის აღიარებას და, საერთოდ, ეს არ არის სასამართლოს საქმე, რომ განსაზღვროს სამხრეთ ოსეთის სტატუსი. ისინი დე-ფაქტო ხელისუფლებასთან ითანამშრომლებენ მხოლოდ საგამოძიებო ინტერესებიდან გამომდინარე და ამას არ ექნება არანაირი პოლიტიკური დატვირთვა.

ჩვენი მხრიდან, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით დაისვა საკითხი ეთნიკური წმენდის ფაქტის გამოძიებასთან დაკავშირებით, — განაცხადა ანა ნაცვლიშვილმა.

**ნიუსპრესი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# აზერ სულეიმანოვი უსუფაშვილს: „მერაბიშვილი და უგულავა თქვენ დააპატიმრებინეთ“

შორენა მარსაგიშვილი

**ახალქალაქის მაჟორიტარი დეპუტატი, ნაციონალი სამველ პეტროსიანი „ქართული ოცნების“ ზოგიერთ წევრს ანტისომხური პოლიტიკის გატარებაში ადანაშაულებს.**

**ახალქალაქის მაჟორიტარმა შეშფოთება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დააფიქსირა. ის უკიდურესად არის აღშფოთებული იმის გამო, რომ ევროსაბჭოში ქართული დელეგაციის ზოგიერთმა წევრმა მხარი ანტისომხურ პროექტს დაუჭირა.**

პეტროსიანმა საქართველოს ხელისუფლებას და თავის კოლეგებს ბალანსირებული პოლიტიკისკენ მოუწოდა.

მის ბრალდებებს უმალ გამოეხმაურა ევროსაბჭოს დელეგაციის წევრი გუგული მაღრაძე.

დეპუტატი პეტროსიანის ბრალდებებს არ იზიარებს და ამტკიცებს, რომ არანაირი ანტისომხური პროექტი არ არსებობს.

— საუბარია ძალიან ჰუმანიტარული ხასიათის პროექტზე, რომელიც ევროსაბჭოში, სოციალურ საქმეთა კომიტეტში იხილებოდა. საქმე სარსანგის წყლის რეზერვუარის მოვლის საკითხს ეხება, რომელიც დღეისთვის სომხეთის მიერ ოკუპირებულ აზერბაიჯანულ ტერიტორიაზეა. სომხური დელეგაციის აზრი იყო, რომ ამოღებულიყო ტერმინი „ოკუპირებული ტერიტორიები“, რასაც ცხადია, საქართველოს დელეგაციის ვერც ერთი წევრი მხარს ვერ დაუჭერდა, — განმარტა მაღრაძემ.

იქვე მან პეტროსიანს ისიც ჩაუზუსტა, თუ რატომ ვერ მოხერხდებოდა ამ ტერმინის ამოღება.

— ეს საერთაშორისო ნორმაა.



ტერიტორია, სადაც არის სარსანგის წყლის რეზერვუარი, ოკუპირებულ ტერიტორიად ითვლება. ჩვენ ევროსაბჭოში შევხვდით აზერბაიჯანის, სომხეთის დელეგაციას და მათ ძალიან კარგად გაიგეს, თუ რატომ იყო ჩვენი პოზიცია ასეთი. ჩვენი პოზიცია იყო აბსოლუტურად სწორი და, პირველ რიგში, ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამოდიოდა. ჩვენ ყველგან, სადაც ოკუპირებულ ტერიტორიაზეა საუბარი, მხარს დავუჭერთ იმას, რომ ოკუპირებული ტერიტორია აღიარებული იყოს, როგორც ოკუპირებული ტერიტორია, — განაცხადა გუგული მაღრაძემ.

მარნეულის მაჟორიტარმა და ასევე ნაციონალმა აზერ სულეიმანოვმა პარლამენტის თავმჯდომარეს და პრეზიდენტს სეპარატისტულ განცხადებებზე რეაგირებისკენ მოუწოდა.

სულეიმანოვი ყოფილი პოლიტპატიმრის ვაჰაგან ჩახალიანის განცხადებების გამო იყო შეშფოთებული.

ჩახალიანის განცხადების გამო მარნეულის მაჟორიტარმა პასუხისმგებლობა პარლამენტის სპიკერს დავით უსუფაშვილს დააკისრა.

— რამდენიმე დღის წინ თქვენ მიერ ამნისტირებულმა ქვეყნის მტერმა ჩახალიანმა სეპარატისტული განცხადება გააკეთა საქართველოს თურქეთიზაციის და აზერბაიჯანიზაციის შესახებ. ეს მისი პირველი განცხადება არ არის. მან განცხადება სპეციალურად იმ დღეს გააკეთა, როცა მსოფლი-



ოს აზერბაიჯანული მოსახლეობა აზერბაიჯანელი ხალხის ხოჯალოს გენოციდს გლოვობს. ზუსტად 24 წლის წინ, 25 თებერვალს, ერთ ღამეში, ჩახალიანის მსგავსმა სეპარატისტებმა, რუსულ ჯარებთან ერთად, ერთი ქალაქის აზერბაიჯანული მოსახლეობა დახოცა — ძირითადად ბავშვები, ქალები და მოხუცები, — აღნიშნა სულეიმანოვმა.

მან სპიკერი იმის გამოც დაადანაშაულა, რომ ქვეყნის აღმშენებლები ციხეებში სხედან, ხოლო ჩახალიანის მსგავსები გარეთ ნავარდობენ.

— ბატონო დავით, ზუსტად თქვენი გუნდის დამსახურებაა, რომ ჩახალიანის მსგავსი სეპარატისტები, ქვეყნის მტრები და მოღალატეები თავისუფლებაზე არიან. ამ დროს, ვინც ჩვენი ქვეყანა ააშენა, ქვეყნის პატრიოტები ახალაია, უგულავა და მერაბიშვილი, თქვენი დახმარებით ციხეში არიან. მჯერა, რომ საქართველო იქნება გაერთიანებული, ისევე, როგორც აზერბაიჯანი. ყარაბახი ისევ აზერბაიჯანის ტერიტორია იქნება და ეს რუსული ტანკების და ჩახალიანის მსგავსი სეპარატისტების გარეშე მოხდება.

ჩვენ ერთი ქვეყნის შვილები ვართ — როგორც ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი. მე, როგორც აზერბაიჯანელი, ასევე ქართველი ვარ და საქართველოა ჩემი სამშობლო. პრეზიდენტს და პარლამენტის თავმჯდომარეს გთხოვთ, ამ სეპარატისტულ განცხადებებს ყურადღება მიაქციოთ და ამ ფაქტზე დროული რეაგირება მოახდინოთ, — მიმართა სპიკერს მარნეულის მაჟორიტარმა.

დავით უსუფაშვილმა სულეიმანოვის საპასუხოდ განაცხადა, რომ აზერბაიჯანელი ხალხისადმი პატივისცემის გამო, მისი და მისი გუნდის მისამართით გაკეთებულ განცხადებას არ გამოეხმაურება.

ხელისუფლების მიმართ თავისი პრეტენზიები კიდევ ერთმა ნაციონალმა გამოხატა. გურჯაანის მაჟორიტარმა გიორგი ღვინიაშვილმა ხელისუფლება კახელების იგნორირებაში დაადანაშაულა.

როგორც გურჯაანელთა რჩეულმა პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, კახეთში წელს ელექტროენერგიაზე და ბუნებრივ აირზე ფასები მოიმატებს, რაც ადგილობრივ მოსახლეობას მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს.

— კახეთის მოსახლეობას ხელისუფლებამ 4 თეთრით გაუძვირა ელექტროენერგიის გადასახადი. პირველი აპრილიდან კი 11 თეთრით გაუძვირდება მოსახლეობას ბუნებრივი აირიც. ამას აკეთებს „ქართული ოცნების“ მთავრობა, რომელიც ბევრი მომხიბვლელი დაპირებით მოვიდა ხელისუფლებაში. მათ შორის იყო ენერგოტარიფების გაიაფებაც. მთავრობამ მოახერხა ის, რომ გაზაფხულიდან 85.000 ოჯახს გაუუარესდება მდგომარეობა, — აღნიშნა ღვინიაშვილმა.



**გიორგი ღვინიაშვილი: „ხელისუფლებამ კახელები აბუჩად აიგდო“**

მისი თქმით, მთავრობას დაავიწყდა, მათი დაპირების მიხედვით რამდენი უნდა ყოფილიყო პენსია, სამუშაო ადგილები.

— ჩვენი მთავრობა აბუჩად იგდებს კახელებს. გავიმეორებ, რომ წელს კახეთში იყო სამარცხვინო რთველი, სადაც ნამდვილად დასცინეს ქართველ ხალხს, სადაც ადამიანებს შესთავაზეს შეუსაბამო რთვლის ფასი. კახეთში ძალიან ბევრმა მოგცათ ხმა და მათი დამსახურებაა, თქვენ ხელისუფლებაში რომ ხართ. მაგრამ თქვენ მათ უღალატეთ.

მაძღარ კაცს მშიერიც მაძღარი ჰგონია და ნუ ჰგონია თქვენს მთავრობას, რომ კახეთში ხალხი კარგად ცხოვრობს. ვხედავ, რომ პარლამენტში კახეთის არც ერთ მაჟორიტარს არ უთქვამს ამაზე არაფერი. შემოდგომაზე არჩევნებზე მოვა ხალხი და თქვენ საკადრის პასუხს გაგცემენ, — განაცხადა გურჯაანელთა რჩეულმა.

# ელისო ჩაფიძე ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ

შორენა მარსაგიშვილი

**„ქართულ ოცნებაში“ დიდ ამბებს ელოდებიან. საარჩევნო სიის დაკომპლექტება დიდი დაპირისპირების მიზეზი ხდება. სწორედ სიის ფორმირებას უკავშირებენ გუშინ, 17 თებერვალს, დეპუტატ ელისო ჩაფიძის მიერ გაკეთებულ განცხადებას. ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი ბიძინა ივანიშვილს ღიად დაუპირისპირდა.**

მაჟორიტარი „ქართული ოცნების“ მამას ტყიბულში მიმდინარე პროცესების გამო შემოსწყრა, სადაც რამდენიმე დღეა, მაღაროელთა გაფიცვა მიმდინარეობს.

ელისო ჩაფიძემ მთავრობას და ივანიშვილს პარლამენტის ტრიბუნიდან მიმართა და განაცხადა, რომ მაღაროელები მძიმე სოციალურ პირობებში იმყოფებიან, მათ მოეხსნათ შეღავათები.

მაჟორიტარი აცხადებს, რომ მეშახტეები მასთან შეხვედრას ითხოვენ, მაგრამ მათ ვერ ხვდება, რადგან სათქმელი არაფერი აქვს. ელისო ჩაფიძემ მეშახტეებთან შეხვედრაზე დეპუტატები მიიპატიჟა.

— მინდა გამოვეხმაურო მეშახტეების აქციას, რომელიც რამდენიმე დღეა ტყიბულში მიმდინარეობს და რომელიც ძალიან მძიმეა ჩემთვის. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მე მინდა, პარლამენტის ეს მაღალი ტრიბუნა გამოვიყენო და მივმართო ჩვენი გუნდის ლიდერს, ბიძინა ივანიშვილს, და ვკითხო მას, რის გამო ისჯებიან ტყიბულელები?! — დასვა კითხვა მაჟორიტარმა.

მისივე თქმით, საოცნებო პარლამენტმა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ კანონპროექტი“ მიიღო, რამაც მეშახტეებს მდგომარეობა გაუუარესა.

— ამ კანონის 1999 წლის ვერსიის გაუქმებამ ტყიბულელ მეშახტეებს მოუსპო ის მცირეოდენი შეღავათები, რომლებიც მათ ამ კანონის მიხედვით ჰქონდათ შემორჩენილი, — განაცხადა ტყიბულის მაჟორიტარმა.

მისი თქმით, პარლამენტს პირველ აპრილამდე აქვს კიდევ დრო, მიიღოს განსხვავებული გადაწყვეტილება.

— ამ ადამიანებს, რომლებიც ძალიან მძიმე შრომას ეწევიან, მივცეთ



საშუალება, თუნდაც იმ შეღავათებით ისარგებლონ, რომელთაც 1999 წელს, სწორედ საქართველოს პარლამენტი ანიჭებდა. ზუსტად 4 წელი გავიდა 2012 წლის შემდეგ, კარგად მახსოვს ის დღე, როდესაც ჩვენ დავპირდით ამ

**„მინდა ვკითხო ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რის გამო ისჯებიან ტყიბულელები?!“**

ადამიანებს შრომითი პირობების გაუმჯობესებას. 4 წლის შემდეგ ტყიბულის შახტებში შრომითი პირობები არა თუ გაუმჯობესდა, არამედ გაუარესებულია, — აღნიშნა ელისო ჩაფიძემ.

◆ ◆ ◆

ეს არ არის პირველი შემთხვევა როცა ელისო ჩაფიძე „ქართულ ოცნებას“ უპირისპირდება.

მათ შორის შავმა კატამ გასული წლის იანვარში ჩაიარა. მაშინ პარტიამ გადაწყვიტა, რაიონებში ხალხი გაეშვა და გაერკვია, რას ფიქრობდნენ ადგილობრივები მაჟორიტარებზე.

ტყიბულელების განწყობის შესამოწმებლად რატომღაც დუშეთის და ყაზბეგის მაჟორიტარები გაუშვეს. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, დუშეთის რჩეულმა ირაკლი ტრიპოლსკიმ ტყიბულელებს უთხრა, რომ მომავალ არჩევნებზე მათ სხვა მაჟორიტარი ეყოლებოდათ.

გავრცელებული ინფორმაციით,



ჩაფიძის შემცვლელად განათლების მინისტრის მრჩეველი ოთო აბესაძე მოიაზრებოდა.

ამაზე ჩაფიძემ დიდი ამბავი ატეხა და ფრაქცია „ქართული ოცნების“ დატოვებითაც დაიმუქრა. ამბობდა, რომ მის წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის უკან ტრიპოლსკი და მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი ნუგზარ ყიფიანი იდგნენ. ეს უკანასკნელი წარმოშობით ტყიბულიდან არის და ტრიპოლსკის მეგობარია.

# ომარ ნიშნიანიძე „ნაციონალებს: „ორიენტაციაშეცვლილები თქვენსკენ მოიკითხეთ; თქვენი „გულავი“ დამთავრდა“

საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატის ომარ ნიშნიანიძის განცხადებით, საქართველოს მოქმედი ხელისუფლება ნაციონალურ და ეროვნულ ინტერესებს ემსახურება.

როგორც ნიშნიანიძემ პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე განაცხადა, წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს კი ის აწუხებთ, რომ მათ ინტერესებს არც პარლამენტი და, ბუნებრივია, არც ქვეყანა არ ემსახურება.



— ამიტომაც, როდესაც ისინი დაიწყებენ ჩვენი ხელისუფლების რუსულ ორიენტაციაზე საუბარს, მათ უნდა იცოდნენ იმის შესახებ, რაც მიხეილ სააკაშვილის დროს გადაეცათ რუსებს სამართავად ან საკუთრებაში. ამისი უზარმაზარი ნუსხა არსებობს. რაც შეეხება ორინტაციაშეცვლილებს, ეს თქვენსკენ მოიკითხეთ. ორიენტაციაშეცვლილებს ლობირებთ თქვენ. ველარ „გაიგულავებთ“. დამთავრდა თქვენი ეპოქა. ეს არის ჩემი განაჩენი თქვენდამი, — განაცხადა ომარ ნიშნიანიძემ.

**ნიუსპრესი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ვიქტორ დოლიძე: „დასაკანონებელი მიწა ადამიანს არ უნდა ჩამოერთვას“

ნათია ხურცილავა

თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ვიქტორ დოლიძე „ახალ თაობასთან“ საუბარში ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს მიმოიხილავს.

***– ბატონო ვიქტორ, როგორია თავისუფალი დემოკრატების პოზიცია საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით? არასაპარლამენტო ოპოზიცია იბრძვის, რომ ეს სისტემა შეიცვალოს. ვენეციის კომისია მარტისთვის დადებს დასკვნას.***

– მარტისთვის ვენეციის კომისია დასკვნას მოამზადებს და ჩვენ ამ დასკვნას გავეცნობით, რაც კარგია, მაგრამ ბევრი დრო არ უნდა გავიდეს. მარტამდე კიდევ არის საკმარისი დრო დარჩენილი იმისთვის, რომ პოლიტიკური პროცესი დაიწყოს. ეს მნიშვნელოვანია ზოგადად.

***– რას გულისხმობთ?***

– ჩვენ მზად ვართ, მივიღოთ მონაწილეობა პროექტების განხილვაში, მაგრამ ეს პროექტი ვიღაცამ უნდა წარმოადგინოს. ჩვენ ამისთვის მზადყოფნას ვაცხადებთ იმიტომ, რომ ვაცნობიერებთ, რაოდენ მნიშვნელოვანია ეს საკითხი. თავის დროზე ინიცირებულ იქნა პროექტი რეგიონალურ-პროპორციულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით. მაშინ კოალიციის მიერ ითქვა, რომ რეგიონულ-პროპორციულ სისტემაზე გადასვლა 2020 წელს მოხდებოდა, მაგრამ დღეს ვხედავთ,




რომ არათუ 2016 წლისთვის არ მოხდება ცვლილებები, არამედ 2020 წლისთვისაც.

***– რატომ ფიქრობთ ასე?***

– სამუშაოები არ არის ამ მიმართულებით დაწყებული. ამიტომ ვამბობ, რომ 2020 წლისთვისაც რეგიონულ-პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა შეუსრულებელი დაპირებაა კოალიციის მხრიდან, რადგან ამის განხილვაც კი არ დაუწყია ხელისუფლებას.

***– ვენეციის კომისიის წინასწარ შეფასებებზე რას იტყვით?***

– ვენეციის კომისიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ რეგიონალურ-პროპორციული საარჩევნო სისტემა სწორედ ის სისტემაა, რომელიც ყველაზე მეტად მიესადაგება ჩვენს ქვეყანას. მაგრამ რა უფრო მიესადაგება ჩვენს ქვეყანას და რა არა, პოლიტიკურმა სპექტრმა ქვეყნის შიგნით უნდა გადავწყვიტოთ, ეს არის პოლიტიკური დავის საკითხი.

***– მთავარი პრობლემა რა არის დღეს?***

– მთავრობა მოწყდა საკუთარ ხალხს. ეს ყველაზე დიდი პრობლემაა ხელისუფლებისთვის, რადგან თუ არ იცი, რა ულხინს და რა უჭირს შენს ხალხს და თუ ვერ ახდენ მასთან იდენტიფიცირებას, მაშინ ვერც ადეკვატურ გადაწყვეტილებებს იღებ. ეს კი დიდი პრობლემის წინაშე აყენებს მთავრობას.

დღითიდღე ღრმავდება გაუცხოების პრობლემა საზოგადოებასა და ხალხს შორის. ეს ძალიან ცუდია.

ცოტა ხნის წინ ფინანსთა მინისტრმა გვითხრა, რომ ლარი გამყარდება, არადა ამ მიმართულებით ნაბიჯი არ გადადგმულა. დევალვაციის ტენდენციის გარდა, ვერაფერს ვხედავთ. ეკონომიკური სიდუხჭირე, სილატაკე, ფასების ზრდა, სოციალური პირობების გაუარესება – ამაზე დიდი პრობლემა რა შეიძლება იყოს? სასწრაფოდ არის ნაბიჯები გადასადგმელი. ამ ფონზე ვხედავთ, რომ ახალი იდეით გამოდის მთავრობა და საქართველოში მიწის რეფორმას იწყებს.

***– ფიქრობთ, ახლა ამის დრო არ არის?***

– ეს საკითხი მტკივნეულია ჩვენი საზოგადოებისთვის, ქართველი გლეხობისთვის მანკიერ და წარმოუდგენელ პროექტთან გვაქვს საქმე, რომელიც პრაქტიკულად ადამიანების განკულაკებას ითვალისწინებს.

დაუკანონებელი მიწების სახელმწიფოსთვის გადაცემა უნდა მთავრობას. არ ფიქრობენ იმაზე, რომ რეალურად საქმე გვაქვს მამაპაპისეულ მიწებთან, რომლებიც დაკანონებული მართლაც არ არის, მაგრამ ამიტომ მამაპაპისეული მიწის ჩამორთმევა შეიძლება?! ეს ხომ დაუშვებელია?! ეს არის კაბალური გადაწყვეტილება.

ჯერ კიდევ 90-იან წლებში საქართველოში მიწის რეფორმა დაიწყო, მაგრამ, მოგეხსენებათ, ბოლომდე არ ჩატარებულა. ცხადია, ეს რეფორმა სისტემურ მიდგომას ითხოვს, მაგრამ არა ადამიანების განკულაკების ხარჯზე.

მსოფლიო ბანკი მზად არის, პილოტური პროექტი დააფინანსოს კიდეც. საწყის ეტაპზე საუბარი 12 სოფელზეა. აქედან გამომდინარე კიდევ ერთხელ მინდა ხელისუფლებას მოვუწოდო, რომ დაფიქრდეს და გონივრული გადაწყვეტილება მიიღოს. ასევე ხელისუფლებას მოვუწოდებ, რომ არ აჩქარდეს. ჩვენ ვიცით, რომ ეს არ არის ადვილად მოსაგვარებელი პრობლემა. სწორი მიდგომით რამდენიმე წელიწადში შესაძლებელია, რომ აღმოვფხვრათ ეს პრობლემა.

***– ამ კანონპროექტს პარლამენტი დაჩქარებული წესით არ განიხილავს. მთავრობამ ეს კანონპროექტი უკან უნდა გაიწვიოს?***

– ერთადერთი, ჩვენ, რაც შევძელით ამ ეტაპისთვის, არის ის, რომ პროცესი რაღაცნაირად შენელდა და მისი ფორსირებულად მიღება არ ხდება. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მთავრობა სწორ გზაზე დგას.

***– მიწის რეფორმა არ უნდა ჩატარდეს?***

– მიწის რეფორმა აუცილებლად უნდა ჩატარდეს და ამან სისტემური ხასიათი უნდა მიიღოს. დასაკანონებელი მიწა ადამიანს არ უნდა ჩამოერთვას, ეს მიწა აუცილებლად უნდა დაკანონდეს, მაგრამ ამას სჭირდება სპეციალური პროგრამა. სწორედ ამას ვგულისხმობდი, როდესაც მსოფლიო ბანკის დაფინანსების შესახებ ვახსენე. ერთი ხელის მოსმით, მით უფრო, ქირურგიული ჩარევით, ამ პრობლემის მოგვარება აბსოლუტურად წარმოუდგენელი და მიუღებელია.

# ნაციონალების სევდა — 1 ლარად გაცემული 9 ჰექტარი მიწა თუ 3 ძირი ხე

## რა ხდება რეალურად ციხისძირში

უფლებადამცველ თამაზ ბაკურიძის განცხადებით, სოფელ ციხისძირში არსებული მიწა ოფშორულ კომპანიას 1 ლარად ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გადასცა.

ბაკურიძემ ეს განცხადება ბათუმში, „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ოფისში ბრიფინგზე გააკეთა და ამის დამადასტურებელი საჯარო რეესტრის ამონაწერიც წარმოადგინა.

უფლებადამცველი მოუწოდებს ხელისუფლებას, გამოიძიოს ქონების სიმბოლურ ფასად გასხვისების საკითხი.

**თამაზ ბაკურიძე:**

– ის ტერიტორია, სადაც ახლა ნაცებს კარვები უდგას და ვითომდა ხეებს იცავენ, მიხეილ სააკაშვილმა 1 ლარად გაასხვისა დაუდგენელ პირზე. იმ ტერიტორიაზეა საუბარი, რომლის გამო კომპანია არის უფლებამოსილი გაატაროს ტვირთი და ავტოსატრანსპორტო საშუალებები. კერძოდ, შპს „ზიმოს“ მიერ შესყიდული ხეების ტრანსპორტირების ერთადერთი შესაძლო მარშრუტი გადის კერძო საკუთრებაზე 90.000 კვ/მ ნაკვეთზე, რომელიც მიხეილ სააკაშვილის მიერ 2011 წლის 3 აგვისტოს გაცემული განკარგულების საფუძველზე, გაურკვეველ, ოფშორში დარეგისტრირებულ კომპანია „REDMAD FEDERATION INC~-ს 1 ლარად გადაეცა.

დოკუმენტებში არ ჩანს არც ამ კომპანიის წარმომადგენელი, არც ხელმომწერი მხარე და საერთოდ არც ერთი საკონტაქტო პირი, ვისთანაც შესაძლოა, რაიმე სამართლებრივი ურთიერთობა დამყარდეს. სავარაუდოდ, სწორედ 1 ლარად გაცემული 9 ჰექტარი მიწის მაქინაცია ადარდებს ნაციონალურ მოძრაობას და სწორედ ამ ფაქტის გახმაურების შიშით ატეხეს სკანდალი ხეების გადატანაზე, რადგან გადატანის შემთხვევაში, აუცილებლად გაიშიფრებოდა სახელმწიფო ქონების მიტაცების ეს სკანდალური ფაქტი. მაშინ სად იყო გივი თარგამაძე, როცა ანიავებდნენ ტყის ფართობებს?!

აღნიშნულ განცხადებას შპს „ზიმო“ გამოეხმაურა.

„ზიმოს“ იურისტის ?გვანცა ფოცხვერაშვილის განცხადებით, ?ხეების გადატანის სამუშაოები სრულიად კანონიერია.

**გვანცა ფოცხვერაშვილი:**

– კომპანია „ზიმო“-ს დადებული აქვს ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც კანონიერად ახორციელებს სამუშაოებს. მას აქვს შესაბამისი ნებართვები თითოეული შესრულებული და შესასრულებელი მოქმედების განსახორციელებლად და სამართლებრივად მის მიერ განხორციელებული თითოეული ქმედება (შესრულებული სამუშაო) სრულიად კანონიერია.

არ არსებობს მსგავსი უკმაყოფილებისა და პრეტენზიის არსებობის კანონიერი საფუძველი.

არასამთავრობო ორგანიზაციების პროტესტი აღნიშნულთან დაკავშირებით უსაფუძვლოა, მათ არ აქვთ უფლება გამოთქვან მსგავსი სახის პრეტენზია.

არსებულთან დაკავშირებით, მოგახსენებთ, რომ შპს „ზიმო“ სამუშაოების დაწყებამდე


ფატი ხალვაში


თამაზ ბაკურიძე

და მის შემდეგაც (დღემდე) ცდილობს ყველანაირი კანონიერი გზის გამოყენებით მიაგნოს აღნიშნული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, ჩვენ მიერ გაგზავნილია წერილები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და ასევე მესაკუთრის იმ მისამართზე, რომელიც ჩვენთვის იყო ცნობილი, მაგრამ დღემდე არავინ გამოჩენილა, ვინც კანონიერად წარმოადგენდა მესაკუთრის ინტერესებს.

***– რატომ გადაწყვიტეთ ხეების ტრანსპორტირება მაინცდამაინც იმ ნაკვეთზე, რომლის მეპატრონისგანაც არ გქონდათ ნებართვა?***

– აღნიშნულთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ შპს „ზიმო“-ს არ ჰქონდა არჩევანის საშუალება, რადგან არ არსებობს ალტერნატიული მისასვლელი, რომლითაც ის შეძლებდა ხეების ტრანსპორტირებას. შესაბამისად, ეს ერთადერთი, უალტერნატივო მისასვლელია, რომლის გამოყენებითაც შპს „ზიმო“ შეძლებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

***– საზოგადოების ნაწილისთვის მიუღებელია, რომ ხდება ხეების ამოთხრა და ბუნების დაზიანება, მიუხედავად იმისა, რომ კანონის თანახმად შესაძლებელია ამგვარი ოპერაციების ჩატარება. არ ფიქრობთ, რომ აზარალებთ გარემოს და ამახინჯებთ ბუნებას?***

– როგორც თავად აღნიშნეთ, კანონის თანახმად აკრძალული არ არის ამგვარი მოქმედებების განხორციელება. „ხე“ არის სამოქალაქო ბრუნვის ობიექტი ანუ შპს „ზიმო“ არ ასრულებს კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს.

რაც შეეხება ბუნების დაზიანებას, ამასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მოხდება ტერიტორიის აღდგენა-რეკულტივაცია და თითოეული ხის სანაცვლოდ დაირგვება 10 ახალი ხის ნერგი.

***– ვინ აიღებს პასუხისმგებლობას იმაზე, რომ ტრანსპორტირების შემდეგ ან ახალ ადგილზე ხეები არ გახმება?***


*N 20.46.01.010

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882011380311 - 05/08/2011 18:41:17

მომზადების თარიღი
05/08/2011 19:48:01

საკუთრების განყოფილება

| ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი |
| --- | --- | --- | --- |
| ქობულეთი | ციხისძირი | | |
| 20 | 46 | 01 | 010 |

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 33780.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:
მისამართი: ქობულეთი, სოფელი ციხისძირი

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882011380311 , თარიღი 05/08/2011 18:41:17
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 05/08/2011

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:
• ნასყიდობის ხელშეკრულება გაც. 2011 წლის 5 აგვისტოს. დამოწმ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ

მესაკუთრეები:
REDMAN FEDERATION ING

მესაკუთრე:
REDMAN FEDERATION ING

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:
რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:
რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:
რეგისტრირებული არ არის

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. http://public.reestri.gov.ge

– რაც შეეხება აღნიშნულ საკითხს, ჩვენ არ გვაქვს აღებული მსგავსი ვალდებულება. მოცემულთან დაკავშირებით უნდა იზრუნოს შემკვეთმა.

***– თქვენი კომპანიისა და ბუნების დამცველების დაპირისპირებაში ჩაერია პოლიცია და დააპატიმრეს რამდენიმე აქტივისტი, რამაც გააჩინა ეჭვი, რომ თქვენ პოლიცია გამოიყენეთ თქვენი ინტერესების გასატარებლად.***

– შპს „ზიმო“ კანონიერად ასრულებდა სამუშაოებს იმ ტერიტორიაზე, სადაც მას გააჩნდა მუშაობის ნებართვა, შესაბამისი პირების მიერ განხორციელდა ხელშეშლა და, შესაბამისად, პოლიციის მხრიდან მოხდა ხელშეშლის აღკვეთა.

***– საპროტესტო აქციაში ჩართული არიან ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებიც. არ ფიქრობთ, რომ ხეების გადატანა პოლიტიკურ ელფერს იძენს?***

– მოგახსენებთ, რომ ვინც არ უნდა იდგეს აღნიშნული ქმედებების უკან, ცალსახაა, რომ შპს „ზიმო“-ს ხელი ეშლება სამუშაოების განხორციელებაში, რაც უკანონოა.

***– რამდენიმე დღის წინ საპროტესტო აქციაზე მისული იყო ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც შეაჩერა თქვენი კომპანიის მუშაობა, სანამ არ მოაწესრიგებდით ყველა დოკუმენტს, დღეს რატომღა დაიწყეთ მუშაობა, ყველა დოკუმენტი წესრიგშია?***

– ჩვენ აღნიშნულ დღესაც, როდესაც მოხდა სამუშაოების შეჩერება, გვქონდა ყველა დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც სრულიად კანონიერად მიმდინარეობდა სამუშაოები. ჩვენ კიდევ ერთხელ წერილობით მივმართეთ აჭარის ხელისუფლებას. შესაბამისად, დღეს გავაგრძელეთ მუშაობა.

◆ ◆ ◆

ქობულეთის მაჟორიტარი დეპუტატის, **ფატი ხალვაშის** განცხადებით, ციხისძირის ტერიტორიიდან გადარგული 3 ძირი ხე იშვიათ ენდემურ ჯგუფს არ წარმოადგენს.

– შექმნილი ხმაურის ფონზე, ყველასათვის საინტერესო გახდა, თუ რა ხდება რეალურად ციხისძირში, რა ღირებულებები აქვს ამ 3 ხეს და რატომ გახდა აქტუალური ეს საკითხი მედიისთვის.

მინდა გითხრათ, რომ საკითხის შესწავლისას გაირკვა, რომ ციხისძირის შემთხვევაში ეს ეხება მხოლოდ 3 ძირ ხეს, რომლებიც არ შედიან წითელ ნუსხაში და არ წარმოადგენენ იშვიათ ენდემურ ჯგუფს, არც რაიმე განსაკუთრებული სტატუსი გააჩნია ამ ხეებს. ასევე ირკვევა, რომ ეს ტერიტორია 1 ლარად არის გასხვისებული ოფშორში დარეგისტრირებულ ერთ-ერთ კომპანიაზე „რედმენ ფედერაიშენზე.

დეპუტატი დაინტერესდა და კითხვით მიმართა საკრებულოს იმ წევრებს, ვინც აღნიშნული ხეების გადარგვას ეწინააღმდეგებიან, რატომ არ ეწინააღმდეგებოდნენ ქობულეთის მუნიციპალიტეტიდან 9 ჰექტარი მიწის 1 ლარად გაყიდვას.

– რატომ მაშინ არ ამოიღეს ხმა, როცა ოფშორში სხვისდებოდა ეს ტერიტორია, ასევე მინდა ვკითხო, რატომ არ ამოიღეს ხმა, როცა ევკალიპტის ხეებს ცხელ წყალს ასხამდნენ, რომ გამხმარიყო და შემდეგ საშეშედ გადაეცათ მოქალაქეებისთვის. ასევე მე მაქვს ჩამონათვალი იმ ქონებისა, რომელიც 1 ლარად გაიყიდა აჭარაში – სად იყვნენ მაშინ ამ ქონების და ტერიტორიის დამცველები?

# რამაზ საყვარელიძე: „რუსეთს სჭირდება, რომ საქართველოს ევროპა არ უნდოდეს“

ნონა ცაბაძე



განათლების სისტემაში სახელმძღვანელოს „მე და საზოგადოება“-ს შესაძლო დანერგვამ საზოგადოებაში აზრი ორად გაყო. მოსახლეობის გარკვეულ ნაწილი ეწინააღმდეგება, რომ ეს სახელმძღვანელო სკოლებში შევიდეს. აღნიშნულ საკითხებზე „ახალი თაობა“ ფსიქოლოგ რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.

***– ბატონო რამაზ, რას ეხება ეს სახელმძღვანელო და უნდა ისწავლებოდეს თუ არა?***

– საგანი გულისხმობს იმის სწავლებას, რა საზოგადოებაში ცხოვრობს ბავშვი, რა სახელმწიფოში, როგორია ურთიერთობები, როგორ უნდა მოიქცეს, დავუშვათ, ქუჩაში მოძრაობის დროს, თავის თავთან დამოკიდებულებაში. პირადი ჰიგიენა და ასე შემდეგ. უამრავი ისეთი დეტალია, რომელზედაც პრაქტიკულად არც ერთი საგანი პასუხისმგებელი არ არის.

***– ანუ მსგავსი რამ ბავშვებს სახელმძღვანელოებში არ შეხვედრიათ?***

– აქამდე იყო ეს საკითხები გაფანტული სხვადასხვა საგნებში, სადაც ფაქტობრივად იკარგებოდა. ახლა კი წამოიწია წინა პლანზე. აქ ასევე ყურადღებაა გამახვილებული მშობლების პატივისცემაზე, სამშობლოს სიყვარულზე. ანუ ისეთ თემებზე, რომლებიც ნებისმიერი მოქალაქისთვის საჭიროა. ეს გულისხმობს იმას, რომ ადამიანს სიყვარულიც ასწავლო შენი ქვეყნისა და იმ გარემოცვისა, რომელშიც ის არის. ეს არის ძირითადი მიზანი.

***– ამ მხრივ დეფიციტი შეინიშნება?***

– აღმოჩნდა, რომ ამ მხრივ დეფიციტი გვაქვს. საერთაშორისო გამოკვლევები ტარდება ხოლმე პერიოდულად და მსოფლიოს სხვადასხვა ბავშვებში განათლების დონე ამა თუ იმ მიმართულებით უდარდება ერთმანეთს.

***– რა აჩვენა ამ კვლევებმა?***

– საქართველოც პერიოდულად მონაწილეობს ამ კვლევებში. ჩვენი ბავშვების დონე სოციალურ სფეროში სასურველზე დაბალია. ამ ტიპის საკითხების სკოლაში სწავლება აუცილებელია.

***– ჩვენ გვესმის მწვავე პროტესტი, რომ მიუღებელია 7-დან 13 წლამდე ასაკის ბავშვს ასწავლო, რა არის სექსუალური უმცირესობა და ასე შემდეგ.***

– პროტესტი დაკავშირებულია ორ წიგნთან. ესენია კომპასი და კომპასიტო, რომლებიც ევროკავშირის ეგიდით ტრიალებს ევროკავშირის ქვეყნებში. წიგნი არის საკმაოდ სქელი და იქ ორიოდე გვერდი არის ამ თემაზე, სექსუალურ უმცირესობათა ურთიერთობაზე. არავინ გეუბნება, რომ შენ ეგ ფრაგმენტი აუცილებლად უნდა აითვისო. სტანდარტში, რომელიც ჩვენთან არის, ეს თემები საერთოდ არ არის შესული.

***– თქვენი პოზიცია როგორია?***

– მე, როგორც ფსიქოლოგს, თუ ჭკუას მკითხავენ და ალბათ მკითხავენ, პრინციპულად მიუღებლად მიმაჩნია, რომ გინდ ბავშვის და გინდ დიდის ყურადღება გაჩერდეს ამ საკითხებზე! იმიტომ, რომ თვითონ ყურადღების შეჩერება ამ საკითხებზე მათ პროვოცირებას გამოიწვევს.

***– ანუ არც თქვენ ხართ ამის მომხრე?***

– მომხრე კი არა, მოწინააღმდეგე ვარ! ეს აუცილებლად გამოიწვევს პროვოცირებას. ეს პრობლემა, რასაც სექსუალური ორიენტაციის აცდენა ჰქვია, წმინდა ბიოლოგიური არ არის, ის ფსიქოლოგიურიცაა.

***– მაშინ ევროპაში რატომ ხდება ამ თემის პროვოცირება?***

– ევროპას ცოტა რამე ეშლება?! სანამ ევროპა დაადგენს, შემეშალაო, მას ველოდოთ? ამ მიგრაციის პროცესებმაც ხომ აჩვენა, რომ თურმე ევროპამ სწორად ვერ გაითვალა მიგრაციის პოლიტიკა და საპროტესტო გამოსვლებია ზედიზედ. მით უმეტეს, განათლების ნიუანსებში ბევრ რამეს ვერ ითვლის ეს ევროპა. ამ პოზიციის დაკავება, რომ რაც ევროპას აქვს ნათქვამი, ყველაფერი სწორია, პროვინციალიზმია!

***– ანუ უნდა მოხდეს სახელმძღვანელოს გადახედვა და მნიშვნელოვანი საკითხების ამოკრეფა?***

– უნდა მოხდეს იმაზე აქცენტი, რაც შენს კულტურაში ჯდება. სექსუალური ორიენტაციის პრობლემა აქ-

## რას უნდა ასწავლიდეს „მე და საზოგადოება“?

ტუალური არის დასავლურ კულტურაში. ამიტომ მათ ამაზე გააკეთეს აქცენტი. შენ შენი კულტურიდან გამომდინარე უნდა გააკეთო აქცენტები. ამიტომ არც იგეგმება ამ ტიპის რამ.

ამ პროტესტის ავტორებმა წაიკითხეს ეს კომპასი და კომპასიტო და იქიდან ატეხეს ეს ხმაური და არა – ქართული მასალებიდან. ქართულად სახელმძღვანელო ჯერ არც არსებობს. არსებობს გეგმა, რომელშიც ის საკითხებია, რაც მოგახსენეთ. ამ გეგმის მიხედვით სახელმძღვანელოს გაკეთება მომავლის საქმეა და ჯერ გაკეთდეს და მერე იხმაურონ, თუ არ მოეწონებათ. დღეს ეს პანიკა გაუგებარია.

***– სექტემბრიდან იგეგმება სახელმძღვანელოს სკოლებში შეტანა?***

– ჯერ უნდა გაკეთდეს ეს სახელმძღვანელო. მერე ამ სახელმძღვანელომ გაიაროს პროფესიული ექსპერტიზა, გაიაროს პილოტაჟი და მხოლოდ ამის მერე ხდება გრიფის მიცემა და მისი სახელმძღვანელოდ დამტკიცება. რაც შეეხება პროტესტის ინიციატორებს, ხელისმომწერები ბევრი ისეთი ადამიანია, რომელთაც ვერ დააბრალებ ანტიევროპულ განწყობილებას.

***– ინიციატორები ანტიევროპულად განწყობილები არიან?***

– ინიციატორები ძალიან ხშირად ფიგურირებენ ისეთ გამოსვლებში სხვადასხვა თემაზე, სადაც ცხადი ხდება, რომ მათთვის მიუღებელია ევროპაზე ორიენტაცია. ახლა ახალი მიზეზი იპოვეს, რომ საქართველომ უარყოს ევროპა. ამისთვის კი იყენებენ



ასეთ ყურით მოთრეულ თემას. ინიციატორებს რაც შეეხება, აქ სხვა ეჭვიც გამოითქვა...

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ ეს არის რუსული პროპაგანდის ნაწილი. აქვს ამ ეჭვს საფუძველი. ეს განწყობილება სწორედ რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ დღეს რუსეთს სჭირდება, რომ შენ ევროპა არ გინდოდეს. ევროპა თუ არ გენდომება, მერე სხვა გზა არც გაქვს რუსეთის იქით.

***– ანუ მიზანმიმართული პროცესია?***

– არ ვიცი, კონკრეტულად თითს ვერავისკენ გავიშვერ, მაგრამ თუ ხელმომწერები გააცნობიერებენ, რა ხდება, ნახავენ, რომ ეს რუსული პროპაგანდის ნაწილია. ინიციატორები არ უფიქრდებიან, ამ ტიპის სკანდალს რა რეაქცია მოჰყვება. ერთ-ერთი პირველი კი არის ის, რომ წყალი ესხმევა რუსულ პოლიტიკას.

ბევრი მათგანი, ვინც დღეს თითქოს მხოლოდ განათლების პრობლემებზე ლაპარაკობს, მიხვდება, რომ ამ ლაპარაკის იქით სერიოზული საკითხები დგას.

# გია ვოლსკი: „არმაზ ახვლედიანი არ იყო კარგი აღმასრულებელი მდივანი“

ნათია ხურცილავა



ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, დეპუტატი გია ვოლსკი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში წინასაარჩევნო პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო გია, არმაზ ახვლედიანმა „პოლიტიკური ნიანგები“ გიწოდათ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს. რას უპასუხებთ?***

– არმაზ ახვლედიანს უკვე ვუპასუხე, მაგრამ მერე ვინანე. როდესაც ადამიანს იუმორის გრძნობა აქვს, არ შეიძლება მასზე დიდად გაღიზიანდე. ისე ვფიქრობ, რომ მართალი არ არის ჩვენთან არც შეფასებებში და არც მოქმედებებში, რის გამოც ვთხოვეთ, რომ პარტიაში თავისი უფლება-მოვალეობები, როგორც პოლიტსაბჭოს წევრს, შეეჩერებინა.

***– განაწყენებულის პოზიციიდან საუბრობდა?***

– აღარ ჩავუღრმავდები. ადამიანების ფსიქოტიპები, ემოციური განწყობები განსხვავებულია. ისე არ არის, რომ პოლიტიკოსი ჩარჩოში არის ჩასმული და სტანდარტული ენით საუბრობდეს. მეც და სხვებიც ემოციურები ვართ. ალბათ მასაც გარკვეული ემოციურობით მოუვიდა. რაც შეეხება საქმეს, ვფიქრობ, არცთუ კარგი აღმასრულებელი მდივანი იყო. პოლიტსაბჭოს წევრობის დროსაც ცოტა მეტი აილო საკუთარ თავზე, როდესაც მუშტის ბრახუნი დაიწყო მაგიდაზე და ახლა აქეთ გვაბრალებს, რომ ჩვენი მეთოდები მკაცრია.

***– ბატონო გია, არჩევნებზე რა კონფიგურაციით შეიძლება „ქართული ოცნება“ წარდგეს? გუბაზ სანიკიძის განცხადება შეიძლება რამე კავშირში იყოს „ეროვნული ფორუმის“ კოალიციიდან გასვლასთან?***



– გუბაზმა პოლიტიკოსის განცხადება გააკეთა. გუბაზი ამბობს: ვნახავთ, გადავწყვეტთ, ნაჩქარევ და ხმამაღალ განცხადებებს არ აკეთებს, რომ იქნებიან თუ არ იქნებიან, როგორც გარკვეული ისტორიის მქონე პოლიტიკურმა ჯგუფმა, გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. მან თქვა: ჩვენ ვიფიქრებთ.

***– ყრილობა გადაწყვეტსო.***

– რასაკვირველია. არასერიოზული იქნება, რომ თქვას, მე ვიღებ ამ გადაწყვეტილებას ჩემს თავზეო.

***– ვინმე ახალი შეიძლება ვიხილოთ კოალიციაში, კონფიგურაციასთან დაკავშირებით რას გვეტყვით?***

– ნაადრევი მგონია ამაზე საუბარი. ჰორიზონტზე ჯერჯერობით ძლიერი რესურსი, რომ კოალიციას შემოუერთდეს, არ ჩანს. საუბარი იყო სოციალ-დემოკრატებზე, მწვანეებზე. ვფიქრობ, ორივე პარტიამ უნდა გადახედოს თავის ინტელექტუალურ და პარტიულ რესურსებს და ამის შემდეგ გააკეთონ განცხადება. ჯერჯერობით ამ საკითხზე არ საუბრობენ, თუკი ასეთი იქნება, რატომაც არა, მაგრამ ჯერჯერობით წინაპირობა არ ჩანს.

***– იქნებიან ახალი სახეები „ოცნების“ სიაში?***

– ეს ნორმალურია, მაგრამ ისე გამოდის, რომ თითქოს ძველი სახეების მიმართ გაქვს პრეტენზია ან მეორე პლანზე არიან გადაყვანილები. ადამიანთა დიდმა ჯგუფმა ყველაფერი, პირველ რიგში, საკუთარი თავი, მიუძღვნა 2012 წლის გამარჯვებას. ისე არ უნდა მოხდეს, რომ მხოლოდ ახალი გვახსოვდეს და ძველი დავივიწყოთ, ყველაფერი უნდა გვახსოვდეს და ყველანაირი რესურსი შევაფასოთ.

ახალი და ძველი სახეების დაპირისპირება ამ პოლიტიკურ დებატებში, ვფიქრობ, არასწორია. ახალი სახე არ არის ის, რომელიც აუცილებლად უპირისპირდება ძველ შემადგენლობას. განახლება საჭიროა, მაგრამ არავის თავმოყვარეობისა და დამსახურების დაფასების ხარჯზე.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# სოზარ სუბარი: „გიორგი ქადაგიძეს კბილები უკაწკაწებს“



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის, სოზარ სუბარის განცხადებით, ხელისუფლება ამ ეტაპზე სამინისტროების გაუქმებას არ გეგმავს.

აღნიშნულით სუბარი ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, გიორგი ქადაგიძის განცხადებას გამოეხმაურა და მას პოლიტიკური განცხადებების კეთებისგან თავის შეკავება ურჩია.

– კარგი იქნებოდა, მოეთმინა და მერე ეკეთებინა პოლიტიკური განცხადებები. რასაც მე გუშინ შევატყვე, კბილები უკაწკაწებს, როდის გავარდება და შევარდება პოლიტიკაში. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს, მათ შორის, ბატონ ბენდუქიძეს ჰქონდათ იდეა თავის დროზე, რომ გაეუქმებინათ საკონსტიტუციო სასამართლო, გაეუქმებინათ ეროვნული ბანკი, როგორც უმაქნისი ინსტრუმენტები. მარა არ მივდივართ ჩვენ ამ გზით. ხოდა, ეხლა თავი დაანებოს ჭკუის სწავლებას. მოვიდეს პოლიტიკაში, გაიმარჯვოს და მერე გააუქმოს, რაც უნდა. თვითონ მთავრობის რეფორმირება როცა საჭირო იქნება, გაკეთდება, მაგრამ არა ესეთი მყვირალა განცხადებების ფონზე, – აღნიშნა სუბარმა.



ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე სამინისტროების გაუქმების ინიციატივით გამოდის. მისი მტკიცებით, სამინისტროების რაოდენობის შემცირება საქართველოს ეკონომიკას საგრძნობლად გააჯანსაღებს.

ნიუსპრესი

# ალექსანდრე თვალჭრელიძე: „ლარის მასა უნდა შემცირდეს“

ნონა ცაბაძე

ეროვნული ბანკის პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძეს, მისი სურვილის მიუხედავად, პარლამენტის ტრიბუნა არ დაეთმო და მან საკუთარი პოზიცია წასვლის წინ ტელევიზიით დააფიქსირა. ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ალექსანდრე თვალჭრელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქადაგიძის განცხადებებს აფასებს და ამას გადაბრალების პოლიტიკას უწოდებს, თუმცა აღნიშნავს, რომ ქადაგიძემ ერთი რაღაც თქვა სწორი, რაშიც ექსპერტიც ეთანხმება.



**„ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომ ვიყო, ყველაფერს ერთ თვეში გამოვასწორებდი“**

***— რა თქვა სწორი ქადაგიძემ?***

— მან განაცხადა, რომ შესაძლებელია, ლარი თავის ძველ კურსს დაუბრუნდეს. რატომ არ გააკეთა ეს თვითონ, ჩემთვის გაუგებარია. მართლაც იყო შესაძლებელი ლარის კურსის დაჭერა, რაც არაპირდაპირ ახალმა პრეზიდენტობის კანდიდატმაც დაადასტურა. მხოლოდ ეს განცხადება იყო სწორი, დანარჩენი იყო თავის მართლება.

***— ქადაგიძემ ხარჯების შემცირებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ბევრი სამინისტრო გასაუქმებელია.***

— იცით, რას გეტყვით? შეადაროს სხვა ქვეყნების, იგივე აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის ხარჯები მთლიან შიდა პროდუქტთან შედარებით და ნახავს, რომ ჩვენი ხარჯები დაახლოებით ხუთჯერ უფრო ნაკლებია.

***— მან შვეიცარიის მაგალითი მოიყვანა.***

— შვეიცარია რომ მოჰყავს მაგალითად, შვეიცარიაში ძალიან ცოტა სამინისტროა, მაგრამ შვეიცარია სხვანაირი მოწყობის ქვეყანაა. კანტონული მოწყობის ქვეყანაა. იქ სულ ექვსი სახელმწიფო მანქანაა. ექვსი საათის შემდეგ ფედერალური პრეზიდენტი საკუთარი მანქანით დადის.

***— ანუ მან თავი იმართლა?***

— რასაკვირველია. ეს იყო თავის მართლება, რადგან ძალიან მალე, როდესაც ახალი პრეზიდენტი მოვა, მის საქმიანობას გამადიდებელი შუშით შეისწავლიან. მთელი ეს ლარის პერიპეტიები მეტწილად ხელოვნური იყო. შესაძლებელია, რომ ლარის კურსი ძალიან სწრაფად გამოსწორდეს, როგორც ბატონმა ხადურმა თქვა, ოღონდ რატომ არ აკეთებდნენ ამას ადრე და უფრო ხისტად რატომ არ მუშაობდნენ ეროვნულ ბანკთან, ჩემთვის გაუგებარია.

***— რა ხდებოდა, ხელის დაბანის პოლიტიკას ჰქონდა ადგილი?***

— მე მეჩვენება, რომ ეს რევანშისტული პოლიტიკა იყო და ეს პოლიტიკა ბოლომდე ვერ გავიდა.

***— ამით საზოგადოება დაზარალდა?***

— ამ პოლიტიკას უკვე წელიწადნახევარია მისდევდა ქადაგიძე და ამით დავზარალდით ჩვენ ყველანი. განსაკუთრებით ისინი, ვისაც კრედიტი ჰქონდა ბანკში აღებული. უკანონო და არაკონსტიტუციურია, რომ კრედიტები დამტკიცებულია დოლარში. ამის თაობაზეც ილაპარაკა ახალმა კანდიდატმა. მან აღნიშნა, რომ თუკი მის კანდიდატურას დაამტკიცებენ, ეროვნული ბანკი ამ პოლიტიკის გატარებას აპირებს. თუმცა ძალიან რთული იქნება ამის გაკეთება.

***— რას იტყვით ახალ კანდიდატზე, რომელიც პრეზიდენტმა მარგველაშვილმა წარადგინა? ის საზოგადოებისათვის უცნობი სახეა.***

— მთავარი კრიტერიუმი, რითაც უნდა სარგებლობდეს, არის დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება. მან სრულად უნდა აიღოს თავის თავზე პასუხისმგებლობა. ის მუშაობდა ანალიტიკოსად, მრჩევლად, მაგრამ არასოდეს ჰქონია საპასუხისმგებლო თანამდებობა.

***— რამდენად გაამართლებს ამ თანამდებობაზე?***

— ეს მე არ ვიცი. ჩვენ გვჭირდება ძლიერი ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. ამ ეტაპზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის კანდიდატურა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საქართველოს პრეზიდენტის. ეს ყველაფერი პირდაპირ ჩვენს ჯიბეზე აისახება და ძალიან მალე.

***— ანუ თუ მიიღებს თამამ გადაწყვეტილებებს, შესაძლებელია, ლარი დასტაბილურდეს?***

— დასტაბილურდეს კი არა, შესაძლებელია, თავის ძველ ნიშნულს დაუბრუნდეს.

***— პირველ რიგში რა უნდა გაკეთდეს?***

— პირველ რიგში ძალიან ნორმალურად და ხისტად უნდა გადაიხედოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. ან უცხოური ვალუტა უნდა გაიზარდოს, ან ლარის მასა უნდა შემცირდეს. ჩვენ ლარის გაცილებით მეტი ფულადი მასა გვაქვს მიმოქცევაში, ვიდრე ეს საჭიროა ქვეყნისთვის. გასატარებელია ხისტი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. როგორც კი ეს დასტაბილურდება, მაშინვე განახლდება ქვეყანაში ფულის შემოდინება.

***— ახლა შეჩერებულია?***

— დიახ. ინვესტიციები უნდა შემოვიდეს, მაგრამ ინვესტიციები არ შემოვა, თუ სტაბილური სიტუაცია არ იქნება. უცხოური ინვესტიციები კარგია, მაგრამ მათი შემხედვარე ვერ ვიქნებით. მთავარია, ჩვენი ბიზნესი როგორ იმუშავებს და ჩვენი ბიზნესი ახლა მოლოდინის რეჟიმშია.

***— ანუ თქვენი მოლოდინები ოპტიმისტურია?***

— რა გითხრათ, მე რომ ვყოფილიყავი ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ამას ერთ თვეში, თვენახევარში გამოვასწორებდი.

# ევროპაში ქუთაისიდან ვიფრენთ

პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, ავიაკომპანია „ვიზეარის“ მიერ ქუთაისის აეროპორტიდან ევროპის 7 ქალაქში ფრენების განხორციელება ტურიზმის და ბიზნესის განვითარებისთვის, ასევე ევროპასთან სატრანსპორტო კავშირის განმტკიცებისთვის კარგია.

ამის შესახებ კვირიკაშვილმა მთავრობის ადმინისტრაციაში ინვესტორთა საბჭოს სხდომაზე განაცხადა.

როგორც კვირიკაშვილმა აღნიშნა, ორი თვითმფრინავი იქნება მუდმივად მიმაგრებული ქუთაისზე, ასევე ქუთაისსა და თბილისში 200 ახალი სამუშაო ადგილი გაჩნდება.

— „ვიზეარმა“ გახსნა ბაზა ქუთაისში და ჩვენ გვექნება 7 ახალი რეისი ევროპის მიმართულებით. უფრო მეტი პირდაპირი რეისი განხორციელდება ევროპისკენ. ეს კარგია იმიტომ, რომ ორი თვითმფრინავი იქნება მუდმივად მიმაგრებული ქუთაისზე. გაჩნდება 200 ახალი სამუშაო ადგილი ქუთაისსა და თბილისში, განმტკიცდება კავშირები და ეს ყოვლისმომცველ ინფრასტრუქტურულ გეგმასთან ერთად, რომელსაც მალე წარვადგენთ, მოგვცემს შესანიშნავ შესაძლებლობას, გვქონდეს ევროპასთან სატრანსპორტო კავშირი ქუთაისიდან, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

**სექტემბრიდან 7 ახალი რეისი იგეგმება**



◆ ◆ ◆

ავიაკომპანია „ვიზეარი“ ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან ევროპისკენ 7 ახალ მიმართულებას ამატებს. ესენია: ბერლინი, მიუნხენი, მილანი, დორტმუნდი, სალონიკი, ლარნაკა და სოფია.

**ქუთაისი-ბერლინის** მიმართულებით ავიარეისები 23 სექტემბერიდან დაიწყება, ფრენა კვირაში ორჯერ, ორშაბათსა და პარასკევს შესრულდება, ხოლო მინიმალური ფასი იქნება 39.99 ევრო.

**ქუთაისი-მიუნხენის**რეისები ასევე 23 სექტემბრიდან დაიწყება და კვირაში ორჯერ შესრულდება ფრენა, ორშაბათსა და პარასკევს.

**ქუთაისი-მილანის** ავიარეისები 25 სექტემბრიდან დაიწყება, ფრენები განხორციელდება ოთხშაბათს და კვირას, მინიმალური ფასი 39.99 ევრო იქნება.

**ქუთაისი-დორტმუნდის** რეისებიც 25 სექტემბრიდან დაიწყება, ფრენები იქნება ოთხშაბათს და კვირას. ფასი — 39.99 ევრო.

**ქუთაისი-სალონიკის** რეისები დაიწყება 24 სექტემბრიდან, ფრენა განხორციელდება კვირაში სამჯერ — სამშაბათს, ხუთშაბათსა და შაბათს, მინიმალური ფასი კი იქნება 29.99 ევრო.

**ქუთაისი-ლარნაკას** რეისები დაიწყება 24 სექტემბრიდან, ფრენებს კვირაში ორჯერ, სამშაბათს და შაბათს განახორციელებს და მინიმალური ფასი იქნება 24.99 ევრო.

**ქუთაისი-სოფიაც** ასევე 24 სექტემბერს დაიწყება და ფრენები კვირაში ორჯერ — სამშაბათს და შაბათს განხორციელდება, მინიმალური ფასი იქნება 29.99 ევრო.

**ბიპიენი**

# ირანი საქართველოში 200 მლნ კუბომეტრ გაზს შემოიტანს

თეირანი და თბილისი საქართველოსთვის 200 მლნ კუბომეტრი ირანული გაზის მოწოდების შესახებ მოლაპარაკებებს აწარმოებენ.

ამის შესახებ ირანის გაზის ექსპორტის ეროვნული კომპანიის დირექტორმა ალირეზა კამელიმ განაცხადა.



მისივე თქმით, საქართველოს საჯარო და კერძო სექტორი დაინტერესებულია ირანული გაზის შეძენით.

— მიმდინარეობს მოლაპარაკებები. ვიმედოვნებთ, რომ შეთანხმებას მივაღწევთ, რის შემდეგაც საქართველოში გაზის ექსპორტი განხორციელდება, — განუცხადა კამელიმ ჟურნალისტებს ირანის ნავთობის მინისტრ ბიან ზანგენესა და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძესთან შეხვედრის შემდეგ.

კამელის თქმით, პირველი კონტრაქტი 7 თვეზე გაფორმდება და მომავალი თანამშრომლობის საფუძველი გახდება.

— თუმცა, საქართველომ სომხეთიდან მისი ტერიტორიის გავლით გაზის ტრანზიტზე ლიცენზია უნდა მიიღოს. თუ შეთანხმება ეკონომიკური თვალსაზრისით გამართლებული იქნება, მომავალში საქართველოში გაზის მიწოდების საშუალო და გრძელვადიან კონტრაქტებსაც გავაფორმებთ, — დასძინა კამელიმ.

**ბიპიენი**

# ოკუპირებულ აფხაზეთს ელექტროენერგიას რუსეთი მიაწვდის

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ელექტროენერგიის მიწოდებაზე შეზღუდვები 16 თებერვლიდან მოიხსნა. ამის შესახებ „სპუტნიკ-აბხაზიას“ კომპანია „ჩერნომორენერგოს“ პრესსამსახურში განუცხადეს. გავრცელებული ცნობით, აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკას ელექტროენერგიით რუსეთის ფედერაცია უზრუნველყოფს მანამ ვიდრე წყალუხვობა არ დაიწყება.

— ეს შესაძლებლობას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ ელექტროენერგიის მიწოდების სრული შეჩერება მარტში, — ნათქვამია პრესსამსახურის განცხადებაში.

ოკუპირებულ აფხაზეთში ელექტროენერგიის შეზღუდვით მიწოდების საკითხი მას შემდეგ დადგა დღის წესრიგში, რაც „ენგურჰესის“ წყალსაცავში წყლის დონემ მნიშვნელოვნად დაიკლო. აღნიშნულის გამო ჰიდროელექტროსადგურზე 25 იანვრიდან 15 აპრილამდე დროებითი გათიშვის სისტემა ამუშავდა.

სპეციალისტები აცხადებენ, რომ ბოლო ერთი წელია, აფხაზეთში ელექტროენერგიის მოხმარება გაიზარდა, რის გამოც დროებითი გათიშვის სისტემის ჩართვა შედეგს არ გამოიღებს.

„ენგურჰესი“ ექსპლუატაციაში 1978 წელს შევიდა. ჰიდროაგრეგატები აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარეობს, კაშხალი და წყალსაცავი კი საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

**ინტერპრესნიუსი**



# თინა ხიდაშელი: „გვინდა ჩვენმა გუნდებმა ითამაშონ რეალთან ან ბარსელონასთან“

თავდაცვის მინისტრმა, თინა ხიდაშელმა საქართველოს ინტერესი ევროკავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებით ფეხბურთის თამაშს შეადარა.

შესაბამისი განცხადება ხიდაშელმა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის მსვლელობისას გამოცემა USA TODAY-სთან ინტერვიუში გააკეთა.

— საბჭოთა კავშირის დროს საქართველოს ფეხბურთს ძალიან კარგი მოთამაშეები ჰყავდა, თუმცა, ისინი ყველა საბჭოთა კავშირისთვის თამაშობდნენ. 11 მოთამაშიდან ეროვნულ ნაკრებში რვა საქართველოდან იყო. მას შემდეგ, რაც საქართველომ დატოვა საბჭოთა კავშირი (1989 წელს), ჩვენს გუნდებს ჰქონდათ არჩევანის შესაძლებლობა, რომ აზიის ლიგებს შეერთებოდნენ და ჩვენ ყველაფერს მოვიგებდით, თუმცა, ჩვენ გადავწყვიტეთ, შევსულიყავით ევროპის ჩემპიონთა ლიგაში. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენმა გუნდებმა ითამაშონ „რეალ მადრიდთან“ ან „ბარსელონასთან“, მაშინაც კი, თუ ზოგჯერ წავაგებთ, — აღნიშნა ხიდაშელმა.



მისივე თქმით, ეს გადაწყვეტილება იმის მანიშნებელია, რომ საქართველო ამბიციური ქვეყანაა და გამოსავლის პოვნის მარტივი გზებით არ ინტერესდება.

ამასთან, ინტერვიუში ხიდაშელმა აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა თავს ევროპულად მიიჩნევს.

— ჩვენ მზად ვიყავით ვყოფილიყავით ევროპის ნაწილი მე-11 საუკუნიდან, მაშინ როდესაც, ჩვენ პირველი ელჩი პარიზში გავგზავნეთ. ჩვენი სურვილია, რომ ოფიციალურად და ფორმალურად ვიყოთ იმის ნაწილი, რისი ნაწილიც, ჩვენი აზრით, კულტურითაც ვართ, — აღნიშნა ხიდაშელმა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის განცხადებით, რუსეთის მხრიდან ამ ეტაპზე რაიმე კონკრეტული ზეწოლა არ არის.

— ვფიქრობ, ისინი დაკავებული არიან უფრო დიდი საკითხებით, ვიდრე საქართველოთი. იქნება ეს სირიაში თუ სხვაგან. თუმცა, თუ თქვენ საქართველოში მთავარ მაგისტრალზე ჩაივლით, დაინახავთ ზეწოლას რუსული დროშების ფორმით და რუსული ტანკებით, რომლებიც დროდადრო ახალ სოფელში შემოდიან, — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

**ინტერპრესნიუსი**

# ანექსირებულ აფხაზეთში რუსეთი მორიგ წვრთნებს ატარებს

## სამხრეთით მიმდინარე სამხედრო სწავლებებს ექსპერტები რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებას უკავშირებენ

მარიამ მჭედლიშვილი

**ნახევარ წელიწადზე მეტია, რაც რუსეთის სამხედროები გააქტიურდნენ სამხრეთის რეგიონში, მათ შორის, კავკასიაში. ამ რეგიონში გახშირდა სამხედრო წვრთნები.**

ახლანდელ წვრთნებს უფრო მძაფრი დატვირთვა აქვს რუსეთსა და თურქეთს შორის არსებული დაპირისპირების ფონზე. იმის შესახებ, რომ ამ კონფლიქტმა შეიძლება კავკასიაშიც გადმოინაცვლოს, ქართველი ექსპერტები და პოლიტიკოსებიც საუბრობენ. ამ ფონზე საქართველოში ზოგი ნატოში დაუყოვნებლივ შესვლას მოითხოვს, ზოგი კი საქართველოს ნეიტრალიტეტის აუცილებლობის საკითხს სვამს.

რუსეთი სწავლებებს ანექსირებულ აფხაზეთშიც ატარებს. იქ დისლოცირებულ რუსეთის სამხედრო ბაზაზე სამხედრო წვრთნები არაერთხელ ჩატარებულა, რასაც მოჰყვა თბილისის პროტესტი. მაგალითად, საქართველოს დელეგაციამ რუსეთის მიერ აფხაზეთში ჩატარებული წვრთნები გააპროტესტა ივლისის დასაწყისში ჟენევის მოლაპარაკებების დროს.

ამჯერად აფხაზეთში სხვა სახის სამხედრო სწავლებებს ანტიტერორისტული მიმართულებაც დაემატა – რუსეთის სამხრეთ სამხედრო ოლქის სადაზვერვო დანაყოფის სამხედროებმა მოაწყვეს ანტიტერორისტული სწავლებები ციბალის პოლიგონზე პირობითი ტერორისტების აღმოჩენა-ლიკვიდაციის მიზნით.

ამ ანტიტერორისტულ პირობით ოპერაციაში ჩართული იყვნენ ჯავშანტრანსპორტიორები, დაჯავშნული სადაზვერვო მანქანები და დაჯავშნული ავტომობილები.

მანამდე აფხაზეთში სწავლებებისას გამოიმუშავეს პირობითი მტრის მიერ დანაღმული მინდვრის გადალახვის საშუალებები.

აფხაზეთში სამხედრო შეკრებები მარტის დასაწყისში დასრულდება გამოცდებისა და ნორმატივების ჩაბარებით.

რუსეთის სამხედროებმა სამხრეთ ოლქში საჰაერო ომის იმიტაციაც მოაწყვეს და შავი ზღვის ფლოტიც დაიცვეს. ამ ღონისძიებებში რუსეთმა ჩართო როგორც უახლესი სამხედრო ტექნიკა, ისე საბჭოთა კავშირის დროიდან შემორჩენილი შეიარაღება.

რამდენიმე დღის წინ ჯარების მოულოდნელი შემოწმებაც მოხდა. შემოწმდა 8,5 ათასი სამხედრო და 100 ერთეული ტექნიკა.



ასტრახანის ოლქში განხორციელდა ისკანდერის კომპლექსის ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტის გაშვება.

– ამ სწავლებებს პოლიტიკური სარჩული უდევს. ისინი მიმდინარეობს თურქეთთან შექმნილი სიტუაციისა და ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებების პირობებში, – აღნიშნავს ექსპერტი ალექსანდრე პერენჯიევი.

ექსპერტის მტკიცებით, ეს სწავლებები არ აისახება რეგიონების სხვა ქვეყნებზე. მაგალითად, სომხეთზე, აზერბაიჯანზე, უკრაინასა და სხვებზე.

იგი იმასაც აცხადებს, რომ ირიბად მიმდინარე წვრთნები შეიძლება შეეხოს მთიან ყარაბაღს, მაგრამ მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ მიმდინარე მოვლენებში არ ჩაერიოს რომელიმე ახალი მხარე.

# გიორგი თავდგირიძე: „რუსეთს ცხინვალში ბირთვული ქობინები არ შეუტანია“

გულიკო ბალაძე

**რუსეთმა აფხაზეთში სამხედრო წვრთნები ჩაატარა. წვრთნებში საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე განთავსებული რუსული ქვედანაყოფები მონაწილეობდნენ. რუსული სამხედრო ოლქის სადაზვერვო ქვედანაყოფებმა ტერორისტების აღმოჩენაზე, განეიტრალებასა და ლიკვიდაციაზე ივარჯიშეს.**

ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთმა ასევე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ცხინვალის რეგიონში, ბირთვული ქობინები შემოიტანა. თანაც ოკუპაციის ხაზთან ახლოს დასახლებული მოსახლეობის იქიდან გადასახლებას აპირებს.

ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობას“ თავდაცვის მინისტრის მრჩეველი გიორგი თავდგირიძე ესაუბრა.

***– ბატონო გიორგი, რუსეთმა აფხაზეთში წვრთნები ჩაატარა ტერორისტების აღმოჩენასა და განეიტრალებაზე. ეს რას ნიშნავს?***

– რუსეთმა მთელს სამხრეთ სამხედრო ოლქში ჩატარდა ჯარების დათვალიერება, წვრთნები, რაც იყო კომპლექსური ღონისძიება. ღონისძიებებმა მოიცვა მთელი ეს რეგიონი. სხვადასხვა მიმართულებით სხვადასხვა ტიპის ღონისძიება ჩატარდა.

***– კერძოდ?***

– მაგალითად, რუსეთის გარკვეული სამხედრო ნაწილები განგაშით გააღვიძეს, გამოიყვანეს დისლოკაციის ადგილებიდან და შეამოწმეს, რამდენად სწრაფად შეუძლიათ სათადარიგო რაიონების დაკავება. მათი ნაწილი პოლიგონზე გადაისროლეს და ჩაუტარეს საბრძოლო სწავლება, ჩატარდა სამეთაურო ვარჯიშებიც. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაც სცენარის შემადგენელი ნაწილია.

***– ყველაფერი ეს რას ემსახურება?***

– ეს ყველაფერი ემსახურება იმ პროპაგანდას, რომელსაც რუსეთი ეწევა, ანუ, ერთი მხრივ, კუნთების თამაშია თურქეთის წინააღმდეგ, რადგან კონკრეტულად ეს საკითხი იყო აქტუალური იმ პერიოდში. საკმაოდ დაიძაბა ვითარება თურქეთსა და რუსეთს შორის მას შემდეგ, რაც თურქეთმა რამდენჯერმე განაცხადა, რომ მისი ინტერესის სფეროში შედის სირია, სირიაში ის თურქმენების ინტერესებს დაიცავს. ამიტომ არაბულ სამყაროსთან ერთად განიხილავს სახმელეთო ოპერაციის ჩატარებას სირიის ტერიტორიაზე.

***– შეიძლება რუსეთს მოუხდეს სირიის ტერიტორიაზე თურქეთთან უშუალო დაპირისპირება, მაგრამ აფხაზეთში რატომ ატარებს წვრთნებს?***

– აფხაზეთში ის წვრთნებს ცალკე არ ატარებს. ეს იყო პოლიტიკური გზავნილი მსოფლიოს მიმართ, რომ მისი სამხედრო მანქანა მოქმედებაშია და შეუძლია მისი გამოყენება.

***– ანუ რუსეთი მსოფლიოს ლიდერ ქვეყნებს თითს უქნევს?***

– ერთია რუსეთის შეფასება, რა შეუძლია ამ ქვედანაყოფებს და მეორეა – რეალური მზადყოფნა. რუსეთი მუდმივად პედალირებს, რომ მისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტი შეიარაღებული ძალებია.



***– რუსეთმა ცხინვალში ბირთვული ქობინები მართლა შემოიტანა?***

– ეს ინფორმაცია არ დასტურდება.

***– ფოტოებიც რომ გავრცელდა, სადაც თითქოს ასახული იყო ბირთვული ქობინები?***

– არა. ერთია ე.წ. „ტოჩკა-უ“, მეორე – ისკანდერი. რუსებს ცხინვალში სხვადასხვა ტიპის რაკეტები აქვთ. რაკეტების ქობინები განსხვავდება ერთმანეთისგან. მათ შორის, მათ შეუძლიათ ბირთვული ქობინის მიტანა სამიზნემდე. ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი ქობინები იქნება ცხინვალში, თან სამხედრო ნაწილში. თვითონ სარაკეტო კომპლექსებიც კი ძალიან პრობლემური შესანახია. არის რაკეტები, რომლებიც მყარ საწვავზეა და შედარებით ადვილი მომსახურებისაა. არის რაკეტები, რომლებიც არ არის მყარ საწვავზე, მოითხოვს მთელ ინფრასტრუქტურას და რეგლამენტირებულ მომსახურებას, რომ დაცული იყოს უსაფრთხოება.

არც რუსეთია თუნდაც თავისი უსაფრთხოების მიმართ გულგრილი, რომ ისეთ მოწყვლად რეგიონში, როგორიც ცხინვალის რეგიონი ან აფხაზეთია, ბირთვული ქობინები შეიტანოს.

***– გამორიცხავთ, რუსეთმა ბირთვული ქობინები მომავალში რომ შემოიტანოს ცხინვალში?***

– თუ რუსეთი დაიწყებს აქტიურობას, შეიძლება შემოიტანოს, მაგრამ ჯერჯერობით არ დასტურდება, რომ ბირთვული ქობინები ცხინვალის რეგიონში არის.

***– ბირთვული ქობინების გამშვები სარაკეტო სისტემები?***

– თვითონ გამშვები სარაკეტო სისტემები არის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცხინვალში ბირთვული ქობინებიც აქვთ. ეს ორი საკითხი ერთმანეთთან კავშირში არ არის, ეს მთელი სისტემაა. ჩვენ ამას გამადიდებელი შუშით ვაკვირდებით.

***– ანუ რუსეთის სამხედრო სწავლება საქართველოს წინააღმდეგ არ იყო მიმართული?***

– ამ შემთხვევაში ეს სწავლება ჩატარდა არა საქართველოს წინააღმდეგ, არამედ პირდაპირ და უშუალოდ თურქეთის წინააღმდეგ. ასევე ირიბად რუსეთის სამხედრო წვრთნები ნატოსა და, საერთოდ, დასავლეთის ქვეყნებთან შანტაჟის პოლიტიკის გატარებას ემსახურებოდა.

ამ სამხედრო წვრთნებით პუტინი თავის ობივატელს ეუბნება, მართალია, ეკონომიკური პრობლემები გვაქვს, მაგრამ მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სახელმწიფო ვართ და ყველაზე ძლიერი შეიარაღება გაგვაჩნიაო.

***– გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთი ცხინვალის რეგიონში ოკუპაციის ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის გადასახლებას გეგმავს. როცა თვითონ მოსახლეობა შეშფოთდა, უთხრეს, ასეთი რამ არ იგეგმებაო. რისთვის ემზადება რუსეთი? რა მიზეზით შეიძლებოდა გადაესახლებინათ ისინი?***

– თუ რუსეთი ცდილობს, ცხინვალის რეგიონში გამყოფ ზოლთან უფრო გაამაგროს თავისი ინფრასტრუქტურა, ეს იმის მაჩვენებელია, რომ აქტიურ ღონისძიებას არ აპირებს. როცა შეტევას იწყებ, დამცავ ზოლებს არ ამაგრებ, პირიქით, ანგრევ და მოულოდნელ მოქმედებას იწყებ.

***– ადმინისტრაციული საზღვრის პირას დასახლებული ადამიანების იქიდან გასახლებაზეა საუბარი. მოსახლეობის გადასახლებით ხომ ტერიტორია თავისუფლდება?***

– ოკუპაციის ხაზის გასწვრივ მოსახლეობა მაინც არ არის. ოსური მოსახლეობა იქ ნაკლებადაა. ცხინვალის რეგიონში დარჩენილია მხოლოდ მცირე ნაწილი იმ მოსახლეობისა, რომელიც საქართველოს შემადგენლობაში იყო. დარჩენილია ის ხალხი, რომელიც ემსახურება სამხედრო ინფრასტრუქტურას. წურბელებივით ასხედან რუსეთის მიერ გამოყოფილ თანხებს. არიან კიდევ მოხუცებული ადამიანები, რომლებიც, უბრალოდ, ვერ ახერხებენ სხვაგან უკეთესად მოწყობას, იქ ჩარჩნენ და ცხოვრობენ. მოსახლეობა, რომელიც ხელს შეუშლიდა რუსეთს სამხედრო ინფრასტრუქტურის მოწყობაში, აღარ არსებობს. დარჩა მხოლოდ ოსური მოსახლეობის ჯგუფი, რომელიც ჩამოკიდებულია რუსულ ფულზე. არა მგონია, მათი გასახლება იგეგმებოდეს.

***– საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩატარებულ რუსეთის წვრთნებზე და შეიარაღების დამატებით შემოტანასა და სხვა სამხედრო მოძრაობებზე თავდაცვის სამინისტრო რაიმე რეაგირებას ახდენს რამენაირი საპროტესტო ნოტის სახით?***

– ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია, რომ დამატებითი სამხედრო ძალები შემოდის, არსებულს კი მუდმივად ვაპროტესტებთ. ახლა ჩვენი პროტესტი გადასულია კარასინი-აბაშიძის ფორმატში, რაც ემსახურება პოზიციების შეჯერებასა და სიტუაციის განმუხტვას. თუმცა, შედეგი, ჯერჯერობით, არ ჩანს.

* * *

გიორგი თავდგირიძის განცხადებით, მსოფლიოში პროცესები დინამიურად ვითარდება და ერთ დღეს შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ ცხინვალი და აფხაზეთი რუსული ჯარისაგან მთლიანად დაცლილია. ან მოვლენები ისე განვითარდეს, რომ მოლაპარაკების მაგიდასთან დადგეს ეს საკითხები და გადაწყდეს ჩვენ სასარგებლოდ.

***– ბატონო გიორგი, ე.ი. შეიძლება რუსული ჯარისაგან აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი დაცლილი ვნახოთ?***

– დიახ, შეიძლება მოვლენები ასე განვითარდეს. ასეც ხდება ხოლმე. რუსეთი ახლა იმყოფება დაძაბულობის კულმინაციის ზღვარზე, რომელსაც აუცილებლად უნდა მოჰყვეს განმუხტვა. ვერ ვხედავ იმის პოტენციალს, რომ რუსეთმა მსოფლიოს პოზიციის შეცვლა აიძულოს. ამ ყველაფრის ლოგიკური დასასრული რუსეთის სრული კაპიტულაციაა.

***– ეს როგორ წარმოგიდგენიათ?***

– ერთი სცენარით, რუსეთმა შეიძლება ისე დაასრულოს, როგორც საბჭოთა კავშირმა, რომელიც ერთ დღეში ჩამოიშალა. ერთ დღეში დასრულდა საბჭოთა კავშირი, ერთ დღეში დასრულდა ვარშავის პაქტი და ბერლინის კედელი.

მეორე სცენარით, რაც ნაკლებად სავარაუდოა, რუსეთი მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდება და დაემორჩილება თამაშის საერთაშორისო წესებს.

***– თამაშის საერთაშორისო წესები რას გვეუბნება?***

– თამაშის საერთაშორისო წესები გვკარნახობს, რომ საზღვრები უცვლელია და აღიარებული საზღვრები გადახედვას არ ექვემდებარება. ორივე სცენარი ჩვენთვის შედეგიანია. ორივე შემთხვევაში რუსეთი იძულებული იქნება, დატოვოს დაკავებული ტერიტორიები იმის გამო, რომ ამის პოტენციალი აღარ ექნება, თავისი შეიარაღებული ძალები კი შიდა დაძაბულობისთვის გამოიყენოს. ან მოლაპარაკება დასრულდება იმით, რომელ ტერიტორიას რა ვითარებაში დატოვებს.

***– თქვენ ადვილად წარმოაჩენთ რუსეთის დამარცხებას.***

– ასე ხდებოდა ყოველთვის. ამას გვიჩვენებს მსოფლიო ისტორია. სახელმწიფო, რომელსაც ეკონომიკური პოტენციალი არ გააჩნია, მარცხდება. ეს არის შეუქცევადი პროცესი. მთავარი ტანკებისა და ჯარისკაცების რაოდენობა არ არის. მთავარია ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც რუსეთს არ გააჩნია.

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# თურქეთი მზადაა სირიაში სახმელეთო ოპერაცია დაიწყოს

თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა, რომ მხოლოდ სანქციებით სირიაში შედეგის მიღწევა შეუძლებელია. აუცილებელია ხისტი და ეფექტური სამხედრო აქცია, რაც რუსეთს ძალადობის ხალისს დაუკარგავს.

ერდოღანმა სირიაში კონფლიქტის დარეგულირების საკუთარი გეგმა წარმოადგინა. ის სირიაში სახმელეთო ოპერაციის ჩატარებას ითვალისწინებს.



— მხოლოდ ეფექტური სახმელეთო ოპერაციის ჩატარებაა ერთადერთი გარანტი იმისა, რომ ომი შეჩერდება, — ამბობს ერდოღანი.

ამავე დროს, თურქეთის პრეზიდენტმა თქვა, რომ დამოუკიდებლად სირიაში არავითარ ოპერაციას არ ჩაატარებს. მან მოუწოდა ანტიტერორისტული კოალიციის წევრ ყველა ქვეყანას, ამ ოპერაციაში აქტიურად ჩაებნენ.

სირიაში სახმელეთო ოპერაციის ჩატარებაზე მზადყოფნა გამოთქვეს საუდის არაბეთმა, გაერთიანებულმა არაბულმა საემიროებმა, კატარმა.



სამაგიეროდ, ერდოღანის იდეას გულგრილად შეხვდნენ დასავლეთში.

ჯონ ქერიმ შენიშნა, რომ დიპლომატიური საშუალებები ჯერ კიდევ არაა ამოწურული. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰემონდმა კი განაცხადა, რომ დედამიწის ზურგზე არსებობს ერთადერთი ადამიანი, ვისაც სირიის ომის შეჩერება შეუძლია და ამ ადამიანს ვლადიმერ პუტინი ჰქვია. ინგლისელი მინისტრიც რუსეთთან შეთანხმების იდეით გამოვიდა. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი შტაინმაიერი კი პირიქით, სირიაში მდგომარეობის გამწვავებაში ბრალს რუსეთსა და თურქეთს სდებს. მან როგორც მოსკოვს, ისე ანკარას მოუწოდა, ძალადობისგან თავი შეიკავონ.

თურქეთი კი მხოლოდ საკუთარი ძალებით სახმელეთო ოპერაციის ჩატარებაზე კატეგორიულ უარს აცხადებს. ის კვლავ ჯიუტად ცდილობს დაიყოლიოს დასავლეთი, რომ მან სახმელეთო ოპერაციაში მონაწილეობა მიიღოს.

— სახმელეთო ოპერაციის ჩატარება მხოლოდ თურქეთის, საუდის არაბეთისა და კატარის ძალებით სრული უტოპიაა. ჩვენ ამაზე არ წავალთ, — განაცხადა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩავუშოღლუმ.

# ბაჰრეინის ხელისუფლებამ ამერიკელი ჟურნალისტები გაათავისუფლა

ბაჰრეინის ხელისუფლებამ ოთხი ამერიკელი ჟურნალისტი გაათავისუფლა. ისინი ქვეყანაში საპროტესტო გამოსვლების გაშუქებით იყვნენ დაკავებულნი.

ბაჰრეინში, სადაც შიიტური უმრავლესობაა, საპროტესტო გამოსვლები პერიოდულად ხდება.

ბაჰრეინში ამერიკული ფლოტი დგას. ეს ქვეყანა აშშ-ს ერთ-ერთი ახლო მოკავშირეა. ის ანტიტერორისტული კოალიციის წევრია და ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლაში მონაწილეობს.



# ჩინეთს რაკეტების განლაგებაში დასდეს ბრალი



ტაივანის ხელისუფლებამ ჩინეთს ვუდის კუნძულზე (სამხრეთ ჩინეთის ზღვა) რაკეტების განლაგებაში ბრალი დასდო.

ხსენებულ კუნძულზე პრეტენზიას აცხადებენ ჩინეთი, ვიეტნამი და ტაივანი.

ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვან იმ კუნძულზე რაკეტების განლაგება უარყო. მან აღნიშნა, რომ დასავლეთის მედიამ არასწორი ინფორმაცია გაავრცელა, რაც ჩინეთისა და ტაივანის გარკვეულმა წრეებმა აიტაცეს.

# კასიანოვი ემიგრაციაში გამგზავრებას არ აპირებს



რუსული დემოკრატიული ოპოზიციის ლიდერმა და ექსპრემიერმა კასიანოვმა განაცხადა, რომ თავდასხმა რესტორანში შემთხვევითი არ იყო.

— ვიღაც-ვიღაცებს ჩემი შეშინება სურთ, — თქვა მან და ასეთი ხალხის კონკრეტული ვინაობაც დაასახელა.

ერთ-ერთი მათგანი ჩეჩნეთის ლიდერი რამზან კადიროვია.

— კადიროვი პუტინის დაკვეთას ასრულებს, — ირწმუნება კასიანოვი.

ექსპრემიერმა აღნიშნა, რომ მიუხედავად მუქარებისა, რუსეთის დატოვებას არ აპირებს.

— მე აქ ვრჩები, რათა დემოკრატიის გამარჯვებისთვის ვიბრძოლო, — თქვა მან.



# ჰავანაში ამერიკელი მინისტრი ჩავიდა

ჰავანაში აშშ-ს ტრანსპორტის მინისტრი ფოქსი ჩავიდა. აქ ის კუბის პრეზიდენტ რაულ კასტროს შეხვდა.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ აშშ-ს თვითმფრინავების კომერციული რეისები კუბაში გაიზრდება. სავარაუდოდ, მათი რიცხვი დღეში 110 თვითმფრინავს მიაღწევს.

ეს კუბა-აშშ-ს შორის საქმიანი ურთიერთობების განვითარებას ხელს შეუწყობს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# შეწყალების კომისიას ორი ახალი წევრი ჰყავს



შეწყალების კომისიას ორი ახალი წევრი ჰყავს. პრეზიდენტის ბრძანებულებით, ახალი წევრები იქნებიან ფილოსოფოსი ზაზა ფირალიშვილი და ჭადრაკში ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი. პრეზიდენტის ბრძანებულება პრეზიდენტის ადმინისტრაციის ვებ-ვერდზე გამოქვეყნდა.

„მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „შეწყალების საკითხთა კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 26 ნოემბრის №928 ბრძანებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეიქმნას შეწყალების საკითხთა კომისია შემდეგი შემადგენლობით: ზვიად ქორიძე — ჟურნალისტი, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს წევრი, კომისიის თავმჯდომარე; ლია მუხაშავრია — იურისტი, უფლებადამცველი; ეკა გიგაური — „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი; ვასილ (ბასა) ჯანიკაშვილი — მწერალი, დრამატურგი; რევაზ კიკნაძე — სსიპ — თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი; კონსტანტინე ჯანდიერი — მწერალი; უჩა ნანუაშვილი — საქართველოს სახალხო დამცველი; გივი შაჰნაზარი — მწერალი; მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე) — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტი; ნონა გაფრინდაშვილი — ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში; ზაზა ფირალიშვილი — ფილოსოფოსი, პროფესორი“.

მუხლი 2. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე“, — ნათქვამია პრეზიდენტის ბრძანებულებაში.

**ინტერპრესნიუსი**

# განცხადებები

## მკურნალობა

● ანტითამბაქო — მცენარეული, გარანტირებულად უსაფრთხო შედეგიანი პარასამკურნალო საშუალება, რომელიც დაგეხმარებათ თამბაქოზე თავის დანებებაში — ფიტოკომპანია „ედელვაისისგან“. ფასი 60-65 ლარი. შეგვიძლია ადგილზე მოწოდებაც და რეგიონებში გაგზავნაც მოთხოვნის შემთხვევაში. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატესის მოწესრიგება — მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● 50 წლის პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● უძლიერესი ნათელმხილველი დარეჯანი — კმაყოფილი დარჩებით უმაღლეს დონეზე, აქვე მოიხსნით სხვადასხვა პრობლემას. მიღება შპს „იადიგარ დაუდის“ ოფისში. ტელ: 555-75-90-62.

● ნანა ქიბროწაშვილი — ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი. ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის გამზირი №57, მე-2 სად. მე-2 სართ. ოფისი №7. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება 12 საათიდან 15 საათამდე.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ — ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ — ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ — მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ — წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# პსჟ-მ და ბენფიკამ ნაბიჯები გადადგეს

გაიმართა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის პირველი მატჩები.

**პსჟ – ჩელსი 2:1**

1:0 იბრაგიმოვიჩი (39), 1:1 მიკელი (45), 2:1 კავანი (78)

**პსჟ:** ტრაპი, მარკინიოსი, სილვა, ლუისი, მაქსველი, მატუიდი (პასტორე 81), ტიაგო მოტა, ვერატი (რაბიო 81), ლუკასი (კავანი 74), დი მარია, იბრაჰიმოვიჩი

**ჩელსი:** კურტუა, ბაბა, ივანოვიჩი, კეჰილი, ასპილიკუეტა, მიკელი, ფაბრეგასი, აზარი (ოსკარი 71), პედრო, ვილიანი, კოშტა

პირველად დაიწყეს ჩელსისთან მატჩი ფავორიტის რანგში პარიზელებმა და ეს სტატუსი გაამართლეს. პირველი ტაიმის ნახევარი პსჟ-მ ჩელსის საჯარიმოს მისადგომებთან გაატარა, მაგრამ ლონდონელები თავს მშვიდად იცავდნენ. შემდეგ თამაში გათანაბრდა და ასეთ რეჟიმში პარიზელებს მხსნელად ზლატან იბრაჰიმოვიჩი მოევლინა, რომელმაც ზედიზედ მე-10 გოლი გაიტანა.

ჯონ ობი მიკელმა საკუთარი საჯარიმოს მისადგომებთან თამაშის წესები დაარღვია და მერე იბრაჰიმოვიჩის ჯარიმიდან დარტყმული ბურთი გზად მასვე მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და გადამხტარი ტიბო კურტუას საპირისპირო კუთხეში აღმოჩნდა.

ნიგერიელმა ფეხბურთელმა შეცდომა 6 წუთში გამოისყიდა – ვილიანის კუთხურს თავი კოშტამ წაკრა, ბურთი მიკელს მიუვიდა, რომელსაც ხელს არავინ უშლიდა და გატანა არც გასჭირვებია – 1:1.

მეორე ტაიმში მხოლოდ პსჟ უტევდა. მასპინძლებმა უამრავი საგოლე მომენტი შექმნეს და უამრავი გოლის გატანა შეეძლოთ, მაგრამ მხოლოდ ერთხელ იხეირეს და ეს კურტუას დამსახურებაა.

გამარჯვების გოლი კი კავანიმ გაიტანა, რომელიც მოედანზე 4 წუთის შესული გახლდათ. არგენტინელმა ანხელ დი მარიამ დიდებული პასი მისცა ურუგვაელს და მანაც კურტუას მახვილი კუთხიდან გაუტანა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ტიბო კურტუა**

წაგების მიუხედავად, გვინდა გამოვყოთ ბელგიელი მეკარე. კურტუამ შესანიშნავად ითამაშა და ჩელსის მეორე ეტაპზე გასვლის შანსი რომ დარჩა, მას უნდა უმადლოდეს. ასევე შეიძლებოდა გამოგვერჩია იბრაჰიმოვიჩი და დი მარია.

**ლორან ბლანი:**

– კავანის წარმატებამ ძალიან გამახარა, მაგრამ გოლი სხვას რომ გაეტანა, ასევე გამეხარდებოდა. არ ვიღლები იმაზე საუბრით, რომ მას უდიდესი ნიჭი აქვს. რთული პერიოდი ჰქონდა და იმედია, ეს გოლი თავდაჯერებას დაუბრუნებს.

მე ყველა მოთამაშეს ვამხნევებ, ხოლო მას განსაკუთრებით. ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. იგივე განწყობით უნდა ვითამაშოთ და სტემფორდ ბრიჯზე გატანას შევეცადოთ. რთული იქნება, რადგან დაცვაც არ უნდა დავივიწყოთ, მაგრამ ამისთვის სათანადო დონეც გვაქვს.

**გუს ჰიდინკი:**

– მარცხი სასიხარულო არასოდესაა, მაგრამ ჩვენ სტუმრად გოლი გავიტანეთ. ორმატჩიან დაპირისპირებაში ეს მნიშვნელოვანია. მეტოქეს პრობლემები საკმაოდ შევუქმენით და ალბათ, 4-5 საგოლე მომენტიდან უფრო მეტი უნდა გამოგვეყენებინა. თუმცა, 1:2 მარცხის შემდეგაც მომდევნო ეტაპზე გასვლის კარგი შანსი გვაქვს.

ძალიან ძლიერ გუნდთან ვითამაშეთ, რომელმაც მეორე ტაიმში მოუმატა, რადგან შეცვლაზე ტოპ-დონის მოთამაშეები შევიდნენ. პსჟ-ს შესაშური შემადგენლობა ჰყავს. ჩვენი კონტრშეტევების უფრო მწვავედ დასრულება შეგვეძლო. ასეთ გუნდთან დაპირისპირება ძალიან ძნელია. მარცხი არ მახარებს, მაგრამ ის ისეთი საშინელი არაა.

**ბენფიკა – ზენიტი 1:0**

1:0 ჟონასი (90)

**ბენფიკა:** სეზარი, ალმეიდა, ჟარდელი, ნილსონ-ლინდელოფი, ელისეუ, სანჩესი, სამარისი, გაიტანი, ჟონასი, პიცი (კარსელა-გონსალესი 71), მიტროღლუ (ხიმენესი 63)

**ზენიტი:** ლოდიგინი, გარაი, ანიუკოვი, ლომბერტსი, კრიშიტო, ვიტსელი, გარსია, ჰალკი, დანი (მაურისიო 87), შატოვი (ჟირკოვი 81), ძიუბა (კოკორინი 74)

**გაძევება:** კრიშიტო (90)

ზენიტი ლისაბონში ჩავიდა, ბურთი რომ არ გაეშვა. 90 წუთის განმავლობაში რუსული კლუბი ამას ახერხებდა, მაგრამ მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში სტუმრები დომენიკო კრიშიტომ დაალალატა.

არააუცილებელი ჯარიმა იტალიელს მეორე ყვითელ ბარათად და მოედნიდან გაძევებად დაუჯდა. ბენფიკამ სტანდარტი კარგად გამოიყენა – ნიკოლას გაიტანის საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს თავი ჟონასმა დაუხვედრა და მასპინძლებს მოაგებინა.

მთლიანად მატჩი საგოლე მომენტების სიუხვით ვერ დაიკვეხნის. ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრში დაგორავდა, ორივე მხარე ბევრს ჯარიმდებოდა და ყვითლებიც ბლომად დარიგდა. კრიშიტოს გარდა, საპასუხო მატჩს ზენიტელი ხავი გარსია და ბენფიკელები ჟარდელი და ალმეიდა გამოტოვებენ.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ჟონასი**

ბენფიკას ბომბარდირმა თავისი სტატუსი გატანილი გოლით გაამართლა. ამასთან, მეტად საჭირო გოლით, მეტად საჭირო დროს. ისედაც იჭერდა ზენიტის დაცვას და პარტნიორებს ცოტა უკეთ რომ ეთამაშათ, მეტ ხიფათს შექმნიდა.

**რუი ვიტორია:**

– კარგ გუნდთან დამსახურებულად გავიმარჯვეთ. განსაკუთრებით არ გაგვირისკავს, თამაშს თითქმის ყოველთვის ვაკონტროლებდით და ტაქტიკურად საუცხოოდ ვმოქმედებდით. შესაძლოა, გოლის გატანას უფრო ადრე ვიმსახურებდით.

ვიცოდით, რომ ზენიტი კონტრშეტევებზე ითამაშებდა და პრობლემებს შეგვიქმნიდა. ბურთს მოთმინებით ვათამაშებდით და ჟინის ხარჯზე გავიმარჯვეთ. ახლა უკეთეს მდგომარეობაში ვართ, ვიდრე დუელის დაწყებამდე. 1:0 ყოველთვის კარგი ანგარიშია ევროთასებზე. ამასთანავე, თითქმის 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ სანკტ პეტერბურგშიც გავიტანთ.



**ანდრე ვილაშ-ბოაში:**

– არ ვფიქრობ, რომ ჩვენმა ხანგრძლივმა შესვენებამ მარცხში დიდი როლი ითამაშა. ტაქტიკურად და ფიზიკურად კარგად მომზადებული ვიყავით და მატჩი ნულოვანი ფრისკენ მიგვყავდა. ბენფიკამ შეხვედრის მიწურულს გაიტანა, მაგრამ დაპირისპირებაში გამარჯვებულის ვინაობის საკითხი ჯერ კიდევ ღიაა.

მეტოქეს მინიმალური უპირატესობა აქვს. საპასუხო თამაშამდე, საშინაო არენაზე ორ მატჩს ჩავატარებთ და ეს სათამაშო ტონუსის აღდგენაში დაგვეხმარება. მეტოქისთვის სანკტ პეტერბურგში თამაში იოლი არ იქნება, თუმცა დისკვალიფიკაციის გამო, ორი მნიშვნელოვანი ფეხბურთელი დავკარგეთ. მეორე მატჩში ჩვენც და ბენფიკასაც განსხვავებული სტარტეგია გვექნება. უფრო ღია ფეხბურთს ვითამაშებთ და, იმედია, უკეთეს შედეგს მივაღწევთ.

# ევროპის ლიგა პლეი ოფით გრძელდება

## სტატისტიკა, ფსონები

**დღეს გაიმართება ევროპის ლიგის მატჩები.**

**ანდერლეხტი – ოლიმპიაკოსი**
**2.62 3.2 2.75**

ამ გუნდების ურთიერთშეხვედრები ყოველთვის უხვგოლიანია. მართალია, სულ 4-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ 3 გოლზე ნაკლები არასდროს გასულა. 1974 წელს ანდერლეხტმა შინ 5:1 მოიგო და სტუმრად ბეწვზე გადარჩა, რადგან 0:3 დამარცხდა და ოლიმპიაკოსს ერთი ბურთი დააკლდა შემდეგ ეტაპზე გასასვლელად. ბერძნებმა შური 2013 წელს იძიეს – ჯერ სტუმრად მოიგეს 3:0, ხოლო შინ 3:1 იძალეს. აღსანიშნავია, რომ 4 მატჩიდან სამში ჰეთ ტრიკი დაფიქსირდა.

ბერძნები ბრიუსელში დისკვალიფიცირებული ელაბდელაიუს გარეშე ჩავიდნენ. ტრავმირებულია ერნანიც. თავის მხრივ ანდერლეხტი ლეია-ისეკასა და ობრადოვიჩს მოისაკლისებს.

**მიდტიულანდი – მანჩესტერი**
**5.5 3.6 1.67**

ეს გუნდები აქამდე ერთმანეთს არ შეხვედრიან და ახლაც მათი თამაში იმის ბრალია, რომ მიდტიულანდმა ჯგუფურ ეტაპზე სენსაცია შემოგვთავაზა.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ დანიელებმა თავის დროზე ორი მატჩის ჯამში ჯერ სიტი დაიფრინეს, შემდეგ კი – საუთჰემპტონი. მანჩესტერსაც ჰყავს დანიური კლუბები დაბრიყვებული – ბრონდბიუ, კოპენჰაგენი და ოლბორგი.

მიდტიულანდს დისკვალიფიცირებულ იან პოულსენთან ერთად, ტრავმირებული დალინი დააკლდება. დანაკლისი უფრო მეტი აქვს მანჩესტერს – ვალენსია, ვარელა, დარმიანი, ჯონსი, როხო, შვაინშტაიგერი, შოუ და იანგი ლაზარეთში არიან.

**ფიორენტინა – ტოტენჰემი 2.4 3.1 3.1**

ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო წყვილი ევროპის ლიგაზე. ორივე გუნდს თასის მოგებაზე აქვს პრეტენზია, მაგრამ ერთი მათგანი ნაადრევად დაემშვიდობება ამ ოცნებას.

ურთიერთშეხვედრებში ფიორენტინას აქვს უპირატესობა. გასულ წელს ლონდონში ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ ფლორენციაში იებმა 2:0 მოიგეს.



საერთოდაც, ფიორენტინა კარგად თამაშობს ინგლისურ კლუბებთან და უპირატესობა აქვს, ხოლო ტოტენჰემს – იტალიურ კლუბებთან აბსოლუტური თანაფარდობა.

იებს საშინაო მატჩში ტრავმირებული ბადელი დააკლდება, ხოლო ტოტენჰემი იტალიაში ვერტოგენისა და ნჯიეს გარეშე ჩავიდა.

**დორტმუნდი – პორტუ 1.44 4.0 8.0**

საბუქმეიკერო კანტორები დორტმუნდს აშკარა ფავორიტად მიიჩნევენ. ალბათ უფრო იმის გამო, რომ პორტუ გერმანიაში დისკვალიფიცირებული დანილუსა და მაქსი პერეირას გარეშე ჩავა.

ურთიერთშეხვედრები არ ჰქონიათ, მაგრამ პორტუს კარგად გამოსდის გერმანელებთან თამაში და უპირატესობაც აქვს. მეტიც, 1987 წელს თვით ბაიერნს მოუგო ჩემპიონთა თასის (ლიგის) ფინალი.

დორტმუნდი 6-ჯერ შეხვედრია პორტუგალიურ გუნდს და 3-3 მოგება და მარცხი აქვს.

**ვილიარეალი – ნაპოლი 2.75 3.1 2.7**

2011 წლის გაზაფხულზე, ევროპა ლიგის გათამაშებაში ვილიარეალმა აჯობა მეტოქეს და მერვედფინალში გავიდა. შემოდგომაზე კი, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე უკვე ნაპოლიმ მოუგო ორივე თამაში ესპანელებს.

წყვილში ფავორიტი ნაპოლია, კონკრეტულ თამაშში კი უპირატესობის მინიჭება რომელიმეზე – შეუძლებელი.

დანაკლისი ვილიარეალს აქვს: დისკვალიფიცირებულია ხიმენესი, ხოლო ადრიან ლოპესსა და სამუს ტრავმები აწუხებს.

**სენტ ეტიენი – ბაზელი 2.25 3.1 3.4**

საინტერესო წყვილია, თანაბარი. ურთიერთშეხვედრები აქამდე არ ჰქონიათ. სრული თანაფარდობა აქვთ მეტოქე ქვეყნების წარმომადგენლებთანაც.

დანაკლისი სტუმრებს მეტი აქვთ – ტრავმები აწუხებთ აკანჯის, ვაცლიკს, დეგენსა და ჰეგს. ამავე მიზეზით მასპინძელთა რიგებში მატჩს გამოტოვებენ ბერიჩი და ტეოფილ-კარტენი.

**სევილია – მიოლდე 1.2 6.0 17.0**

სევილია არათუ მიოლდეს, არამედ, საერთოდ, ნორვეგიულ კლუბს არ შეხვედრია აქამდე. არადა, ევროთასების ხშირი მონაწილეა. მეტიც, ევროპის ლიგა ბოლო წლებში სათავისოდ აქვს ქცეული და ზედიზედ ორჯერ მოიგო. ორჯერაც 2006 და 2007 წლებში.

ესპანელებთან თამაში მიოლდეს არ გამოდის და 6 მატჩში 3-3 ფრე და წაგება აქვს.

მიოლდეს დისკვალიფიცირებული რინდარეი დააკლდება, სევილიას კი, ტრავმირებული კრიშოვიაკი და პარეხა.

**სპორტინგი – ლევერკუზენი**
**2.45 3.1 3.0**

კიდევ ერთი გერმანული წყვილი მეთექვსმეტედფინალში. გუნდები აქამდე ორჯერ მოხვდნენ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში ერთად და ლევერკუზენის უპირატესობა აშკარაა – 3 მოგება და 1 ფრე.

არც სპორტინგს გამოსდის გერმანულ გუნდებთან თამაში და არც ლევერკუზენს სხვა პორტუგალიურ გუნდებთან.

ტრავმირებულები არც ერთ არ ჰყავს, დისკვალიფიცირებული მხოლოდ ლევერკუზენელი კამპლია.

**ვალენსია – რაპიდი 1.8 3.4 4.8**

ერთმანეთს აქამდე არ შეხვედრიან. ვალენსიას სრული უპირატესობა აქვს ავსტრიულ კლუბებთან, რაპიდს კი პირიქით – ესპანელებთან თამაში არ გამოსდის.

ვალენსიაშიც სერიოზული დანაკლისით ჩადის რაპიდი – ტრავმის გამო არ ეყოლება გუნდის ერთ-ერთი ლიდერი შაუბი. მის გარდა ვერ ითამაშებენ დიბონი და ნოვოტა.

არც ვალენსია დახვდება უდანაკარგოდ – დისკვალიფიცირებულია მუსტაფი, ხოლო აბდენურსა და ხავი ფუეგოს ტრავმები აქვთ.

**აუგსბურგი – ლივერპული 3.75 3.5 2.1**

აუგსბურგი საერთოდ პირველად არის ევროტურნირებზე და დებიუტანტის კვალობაზე პლეი ოფში გასვლა კარგი შედეგია. სავარაუდოდ, მათი გზა აქ შეწყდება, რადგან ლივერპული აშკარა ფავორიტია. ამასთან, მათი მწვრთნელი იურგენ კლოპი კარგად იცნობს მეტოქეს. საერთოდაც, ლივერპულს გერმანელებთან თამაში კარგად გამოსდის.

ორივე გუნდი სერიოზული დანაკლისით ხვდება მატჩს. ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ ვერნერი, კლავანი, ჰონ ჯონ ჰო, შუსტერი (აუგსბურგი), გომესი, ინგსი, ლოვრენი, ლუკასი, ლალანა და შკრტელი (ლივერპული).

**სპარტა – კრასნოდარი 2.0 3.4 3.75**

კრასნოდარიც ევროთასების დებიუტანტია და აუგსბურგის განსხვავებით, მეტი შანსი აქვს კიდევ უფრო წინ წაიწიოს. მით უფრო, რომ სპარტას რუსულ გუნდებთან თამაში უჭირს.

ჩეხებს დისკვალიფიცირებული ფრიდეკი და ტრავმირებული კოვაჩი დააკლდება, კრასნოდარელთაგან სასჯელს კაბორე იხდის.

**გალათასარაი – ლაციო 3.2 3.4 2.4**

2001 წელს ჩემპიონთა ჯგუფურ ეტაპზე ერთნაირი მოგებები (1:0) გაცვალეს. საერთოდ, გალათასარაი არ ეპუება იტალიელებს საშინაო მატჩებში და დიდი უპირატესობა აქვს, მაგრამ სტუმრად საერთოდ არ მოუგია. ლაციო კი ჯაბნის თურქულ კლუბებს.

დღევანდელ მატჩს დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებს რომაელი კეიტა, ხოლო ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ სინან გიუმუში (გალათასარაი), ბასტა, დე ვრე და რადუ (ლაციო).

**სიონი – ბრაგა 2.7 3.1 2.7**

ევროტურნირების დიდი გამოცდილებით ვერც ერთი გუნდი ვერ დაიკვეხნის და არც აქამდე შეხვედრიან ერთმანეთს.

დღევანდელ მატჩს დისკვალიფიკაციის გამო კუასი (სიონი) და გოიანო (ბრაგა) გამოტოვებენ.

**შახტარი – შალკე 2.3 3.2 3.2**

11 წლის წინ შეხვდნენ ერთმანეთს ამავე ტურნირის ამავე ეტაპზე და ორი მატჩის ჯამში შახტარმა იძალა. დონეცკში ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ უკრაინელებმა გელზენკირხენში მოიგეს.

დისკვალიფიკაციის გამო შახტარს ფრედი დააკლდება, შალკეს – ჰაიბერგი. ტრავმების გამო სტუმართაგან ვერ ითამაშებენ გორეცკა, ნასტასიჩი, უჩიდა და ჰეგერი.

**მარსელი – ბილბაო 2.62 3.1 2.8**

აქამდე ერთმანეთში არ უთამაშიათ და არც მეტოქე ქვეყნების წარმომადგენლებთან აქვთ კარგი ბალანსი.

მარსელს დისკვალიფიცირებულ კაბელიასთან ერთად დააკლდება მენდი, დე ჩელიე, აგინსა და ოკამპოსი. ბილბაო ტრავმის გამო იბაი გომესსა და რაულ გარსიას მოისაკლისებს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## შედეგები

**16 თებერვალი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

ბენფიკა-ზენიტი ............................ 1:0
პსჟ-ჩელსი ............................ 2:1

**უეფას ევროპის ლიგა**

ფენერბახჩე-ლოკომოტივი ............ 2:0

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

ბლექბერნი-ფულემი ...................... 3:0
ჰალი-ბრაიტონი ............................ 0:0

**შოტლანდია. პრემიერშიპი**

დ.იუნაიტედი-მოზერველი ............ 0:3

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# როგორ ამოვიცნოთ გულის შეტევა

ტკივილი გულის არეში, წარმოშობის მიზეზების მიხედვით რამდენიმე ჯგუფად იყოფა: ანგინოზური ტკივილი, რომელიც ვითარდება გულის იშემიური დაავადების სხვადასხვა სტადიების დროს. მას იწვევს მიოკარდიუმის განსაზღვრულ უბნებში სისხლის მიდინების შემცირება (სტენოკარდია, ინფარქტი),

ტკივილი გულის არეში, გამოწვეული გულის ანთებითი დაავადებებით, გულის თანდაყოლილი და შეძენილი მანკებით ან ვეგეტო-სისხლძარღვოვანი დისტონიით, არაკარდიული პათოლოგიით გამოწვეული ტკივილები.

როგორ განვასხვავოთ, ტკივილი გულის პათოლოგიით არის გამოწვეული თუ არა?

თუ ტკივილი გულის იშემიური დაავადების (სტენოკარდია, ინფარქტი) გამოვლინებაა, ასეთი ტკივილებისათვის დამახასიათებელია ტკივილის აღმოცენება ან გაძლიერება სიარულის, ემოციური დაძაბულობის დროს (ფიზიკური დატვირთვის ან ემოციური დაძაბულობის დროს ხდება სისხლის მიმოქცევის გაძლიერებაზე მოთხოვნილების აღმოცენება), და მისი შესუსტება ან გაქრობა მოსვენებისას. ასეთი ტკივილი ხშირად იხსნება ნიტროგლიცერინის მიღების ფონზე.

ძალიან ძლიერი, ზეწოლითი, მოჭერითი ხასიათის ტკივილი, მკერდის ძვლის უკან ან მისგან მარცხნივ, რომელიც განიცდის ირადიაციას (გადაცემას) ხელში, კისერში, მარცხენა ბეჭში, ზოგჯერ ქვედა ყბაში ან კბილშიც კი, შეიძლება მიოკარდიუმის ინფარქტის ერთ-ერთი სიმპტომი იყოს. ამასთან, ის შეიძლება აღარ მოიხსნას ნიტროგლიცერინით.

რევმატიული დაავადებით გულის დაზიანების ფონზე აღმოცენებული ტკივილის მიზეზი არის გულის გარეთა გარსში – პერიკარდიუმში განვითარებული ანთებითი ცვლილებები. ასეთი ტკივილები, როგორც წესი, ხანგრძლივია, ხშირია მკერდის ძვლის უკან ტკივილი, რომელიც ძლიერდება სუნთვის, ხველების დროს. ასეთი ტკივილი არ იხსნება ნიტროგლიცერინით, მაგრამ შეიძლება შესუსტდეს ტკივილდამაყუჩებელი პრეპარატების დანიშვნის შემდეგ.

თუ ტკივილი გულის არეში იცვლება წინ დახრის ან სხეულის შემობრუნების დროს, ასევე ღრმა შესუნთქვისას და ამოსუნთქვის, ხელების მოძრაობის დროს ასეთი ტკივილი გამოწვეულია გულმკერდის რადიკულიტით.

ნიტროგლიცერინისა და ვალიდოლის მიღება პრაქტიკულად არ ცვლის ტკივილის ინტენსივობას.

* * *

ძლიერი ტკივილი ნეკნთაშუა არეების გასწვრივ, ჩვეულებრივ, ჰერპეს ზოსტერის ადრეული გამოვლინებაა, ხოლო გულის არეში აღმოცენებული გახანგრძლივებული, შემაწუხებელი ყრუ ტკივილი და სიმძიმის შეგრძნება ან ჩხვლეტითი ხასიათის ტკივილი ნევროზის გამოვლინებაა.

სტრესი და დეპრესია გამოვლინდება ძირითადად ტკივილით კისრისა და მხრის ნაწილში. ასეთი ტკივილი უმეტესწილად კუნთოვანი წარმოშობისაა. ხშირად ქოშინი, მოჭერითი ან ჩხვლეტითი ტკივილი გულის არეში დაკავშირებულია ნაწლავების შებერილობასთან, რაც დიაფრაგმის გზით აწვება გულის მწვერვალს და ამით ახდენს მისი ფუნქციის გაუარესებას. თუკი ტკივილის აღმოცენება გარკვეულად უკავშირდება განსაზღვრული სახის საკვების მიღებას, შესაძლოა მისი მიზეზი სწორედ ეს არის და არა გულის დაავადება.

ნაღვლის ბუშტის ანთებით ან ნაღველკენჭოვანი დაავადებით გამოწვეული ტკივილი ასევე შეიძლება გამოვლინდეს გულის არეში ან ბეჭის მიდამოში განვითარებული ჭვალის სახით.

* * *

ტკივილის მიზეზი შესაძლოა გახდეს ხერხემლის გულმკერდის მიდამოს სხვადასხვა დაზიანება, მაგ. ოსტეოქონდროზი, ხერხემლის გამრუდება, დისკოზი და სხვ.

გულის არეში ტკივილის დროს, საჭიროა გავერკვეთ, თუ რამდენად სახიფათოა ის ჩვენი ჯანმრთელობისათვის და რამდენად საჭიროა სასწრაფოს გამოძახება. ამისათვის უნდა გავითვალისწინოთ ტკივილის ხასიათი.

გულის დაავადების სიმპტომებია გულმკერდის მარცხენა ნახევარში აღმოცენებული ტკივილი, გულის ფრიალი, გულისცემისა და „გამოვარდნების“ შეგრძნება, ქოშინი, შეშუპება, გულის წასვლა, გონების უეცარი გაკარგვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალების 43% საერთოდ ვერ გრძნობს ტკივილს გულმკერდში და უჩივის ტკივილს ძირითადად ხერხემლის მიდამოში ან გულმკერდის ზედა ნაწილში. ქალებში გულის დაავადებების ნიშანი შეიძლება იყოს სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე, ცივი ოფლი და თავბრუსხვევა.

ნევროზების, გულის მანკების, ხერხემლის კისრისა და გულმკერდის ნაწილის, ასევე მთელი რიგი შინაგანი ორგანოების დაავადებებით გამოწვეული ტკივილი ძალიან ხშირად ემგვანება სტენოკარდიულ შეტევას, ამიტომ დიაგნოზის დადგენა შეუძლია მხოლოდ ექიმ-კარდიოლოგს.

არ გადადოთ დიდხანს ვიზიტი ექიმთან (უმჯობესია კარდიოლოგთან);

აუცილებლად გაიკეთეთ ელექტროკარდიოგრამა (ეკგ), სტრეს-ეკგ (ეს არის ეკგ, ჩაწერილი ფიზიკური დატვირთვის ფონზე) და ჩაიტარეთ ეკგ-ს სადღეღამისო მონიტორირება.

# მკურნალი მცენარეები

**სალბი** – მრავალწლიანი ნახევარბუჩქოვანი მცენარეა ტუჩოსანთა ოჯახიდან სიმაღლით 20-80 სმ. ფოთლები მოგრძოა, ნაოჭიანი, შებუსული განსაკუთრებით ქვედა მხრიდან. ვეგეტაციის დამთავრების შემდეგ ფოთლები იცვლიან ფერს მოვერცხლისფერო-ნაცრისფრად. ყვავილედი მარტივია, მოლურჯო-იისფერი ყვავილებით.

ნედლეულის შეგროვებას აწარმოებენ ნაყოფის შემოსვლის დროს ივლისის დასაწყისიდან ოქტომბრამდე. ამ დროს ფოთლებში ეთერზეთის მეტი რაოდენობაა. აშრობენ ჰაერზე.



სალობის ნაყენებსა და ნახარშებს ძირითადად იყენებენ როგორც ანთების საწინააღმდეგო ბაქტერიოსტატიკური თვისებებით, მადეზინფიცირებელ საშუალებას პირის ღრუში და ყელში გამოსავლებად სტომატიტების, ზედა სასუნთქი გზების კატარის დროს. ხალხურ მედიცინაში სალბის ფოთლები გამოიყენება გასტრიტის, კოლიტის, ღვიძლის, თირკმელების დაავადების, ბრონქიტების დროს, აგრეთვე როგორც ამოსახველებელი, ხველის შემარბილებელი, შარდმდენი საშუალება.

სალბის ნაყენის მისაღებად 30 გ ნედლეული მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 200 მლ ადუღებული წყალი და ადუღეთ 15 წუთის განმავლობაში.

თვლიან, რომ სალბის ნაყენის მიღება ამცირებს ოფლის გამოყოფას. ამიტომ ურჩევენ მის მიღებას ძლიერი ოფლიანობის შემთხვევაში, განსაკუთრებით კლიმაქტერულ პერიოდში.

მის ნაყენს იყენებენ როგორც კოსმეტიკურ საშუალებას ფერისმჭამელების სამკურნალოდ. ამისათვის ნაყენს შემდეგნაირად ამზადებენ: 1 ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ ფოთოლს ასხამენ 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს, ადუღებენ არაუმეტეს 15 წუთისა, ხმარობენ თბილი საფენების სახით.

* * *

**ხახვი** – უძველესი დროიდან თითქმის ყველა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში ლამის პანაცეად მიიჩნეოდა.

ხახვს, მისი შემადგენელი ფიტონციდების წყალობით ბაქტერიციდული თვისებები აქვს და ორგანიზმს დაავადებათა მიკრობების სეზონური შეტევებისგან იცავს.

ეს რკინით მდიდარი პროდუქტი ანემიის პროფილაქტიკისთვის საიმედო საშუალებაა. ხახვში ბევრია კალიუმი, ასკორბინის მჟავა და ასევე სხვა ვიტამინები და მინერალები. ახლახანს მეცნიერებმა ხახვში აღმოაჩინეს უნიკალური ნივთიერება კვერცეტინი – ანტიოქსიდანტი, რომელიც სიმსივნური უჯრედების საწინააღმდეგო აქტივობით ხასიათდება. ასევე აღმოჩნდა, რომ მწარე ხახვში გაცილებით მეტი ბუნებრივი შაქარია, ვიდრე ტკბილ ვაშლსა და მსხალში – დაახლოებით 14%.

ხახვი შეიცავს ვიტამინებს, ეთერზეთებს, ასევე კალციუმს, რკინას, მაგნიუმს, ფტორს, გოგირდს (სწორედ ამ ნივთიერების გამო აქვს ხახვს მკვეთრი სუნი) და ფლავონოიდებს.

თავიანი ხახვის წვენი ძლიერი ბუნებრივი ანტიბიოტიკია, რომელიც ადამიანს გაციებისგან და ინფექციური დაავადებებისგან იცავს. ხახვი ააქტიურებს ნივთიერებათა ცვლას, ხელს უწყობს სისხლის გაწმენდას და საკვების მონელების პროცესის სტიმულირებასაც ახდენს. ამ პროდუქტს იყენებენ ჰიპერტონიის, ზოგადი სისუსტის დროს, პოტენციის გასაძლიერებლად, ჭიების საწინააღმდეგო საშუალებად და ასევე გასტრიტის, ჰემოროისა და დიაბეტის დროს.

თავიანი ხახვის წვენი გამოიყენება რევმატიზმის, უძილობის, ნევრასთენიის სამკურნალოდ. ცოცხალი ხახვის „ფაფა“ კარგია გრიპის, დერმატიტის, თმის ცვენის, მაზოლებისა და



მეჭეჭების სამკურნალოდ და სხვათა შორის, კოღოს ნაკბენის წინააღმდეგაც.

მწვანე ხახვის ფოთლებში გაცილებით მეტი ვიტამინია, ვიდრე თავად ბოლქვში. მწვანე ხახვი არაჩვეულებრივი საშუალებაა ვიტამინების მარაგის შესავსებად, განსაკუთრებით გაზაფხულის ავიტამინოზის დროს. 100 გრამი მწვანე ხახვი უფროსი ადამიანისთვის ჩ ვიტამინის დღიურ ნორმას შეიცავს. მწვანე ხახვის ფურცლებში შედის ასევე კაროტინი და ბე ჯგუფის ვიტამინები. ხახვის ფოჩებში არის ასევე ქლოროფილი, რაც სისხლის რეპროდუქციას უწყობს ხელს.

ახალი მწვანე ხახვი ზრდის მადას და ნებისმიერ კერძს დამატებით მომხიბლაობას მატებს.

ასევე უნდა იცოდეთ, რომ მწვანე ხახვი დიდხანს არ ინახება, გარდა დაჭკნობისა, პროდუქტი სასარგებლო თვისებებსაც კარგავს.

სპორტი

# ქართველმა წყალბურთელებმა ყველაზე ტიტულოვან გუნდთან უშანსოდ წააგეს



<u>საქართველო – უნგრეთი 10:20</u>

(1:2; 1:7; 4:5; 4:6)

მსოფლიო ლიგის გათამაშებაში საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა ისევ წააგო. საცურაო აუზ ოლიმპიკში ჩვენების მეტოქე მსოფლიო წყალბურთის ერთ-ერთ გრანდი, უნგრეთის ნაკრები იყო. 9-გზის ოლიმპიურ ჩემპიონთან იოან პოპოვიჩის გუნდი 10:20 დამარცხდა.

პოპოვიჩი ვახსენეთ და ალბათ უპრიანი იქნება, თუ ვიტყვით, რომ არაფრით გამორჩეული სპეციალისტი არ არის. ჩვენი ნაკრები უფრო ინდივიდუალურად თამაშობს და არა გუნდურად. არ ჩანს არანაირი კომბინაცია და ძირითადად მოუმზადებელი დარტყმებით უხდებათ ფონს გასვლა.

ამ მატჩს ჩვენები განსხვავებული შემადგენლობით შეხვდნენ. გუნდი დატოვეს ლეგიონერებმა ელეზიმ და სტრუნიჩმა. სავარაუდოდ, მათ გზას უნდა გაუდგეს ცრეპულიაც, რომელიც ძალიან სუსტად გამოიყურებოდა მატჩში. ალბათ ნაკრები უნდა დატოვოს პოპოვიჩმაც.

სადღეისოდ, საქართველოს ნაკრებს ა ჯგუფში ბოლო ადგილი უკავია, დარჩენილი მატჩების განრიგი ასეთია: 26 აპრილი: საქართველო – საბერძნეთი, 10 მაისი: რუმინეთი – საქართველო.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ასტროპროგნოზი

## 18 თებერვლისათვის



**ვერძი** – თუ მიზანი დაისახეთ, გაბედულად იმოქმედეთ. პრობლემების გადაჭრისას არასტანდარტული მეთოდების გამოყენებას გირჩევთ. მოსალოდნელია რომანტიკული თავგადასავალი. **კურო** – რადიკალურ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. ერიდეთ კონფლიქტს კოლეგებთან და ხელმძღვანელ პირებთან. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა გრძელვადიანი გეგმების შესამუშავებლად. შემოსავალი გეზრდებათ. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისათვის მეგობრებს მიმართეთ. **კირჩხიბი** – სირთულეები შეგექმნებათ პროფესიონალურ სფეროში. ბევრი საქმე გაქვთ როგორც სამსახურში, ისე სახლში. **ლომი** – თუ შემოქმედებითად მიუდგებით, ნებისმიერ საქმეს თავს იოლად გაართმევთ. რისკი გაამართლებს. **ქალწული** – გამოიყენეთ შანსი, გაიფართოვოთ ცოდნის არეალი. რჩევისათვის ახლობლებს მიმართეთ. მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი ხარჯები. **სასწორი** – ემოციურად გადაღლილი და დაბნეული ხართ. დაისვენეთ მყუდრო გარემოში ან ბუნების წიაღში. სასარგებლო იქნება ბაღში მუშაობაც. **ღრიანკალი** – სახიფათო დღეა. ერიდეთ კონფლიქტს გარშემომყოფებთან. ეცადეთ, იოლად არავის აწყენინოთ. **მშვილდოსანი** – მშვიდად იყავით. ყველაფერი წესრიგში გაქვთ. კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისას დიპლომატიურობა გამოიჩინეთ. **თხის რქა** – საჭიროების შემთხვევაში რჩევა ახლობლებსა და მეგობრებს ჰკითხეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ემოციებს ნუ გამოავლენთ. **მერწყული** – შესაძლოა ახალი და საკმაოდ გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდეთ. გაიხსენეთ ძველი მეგობრები. **თევზები** – ნეგატიური ემოციებისგან გათავისუფლდით. ერიდეთ შორეულ მგზავრობას. იაქტიურეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ოფიციალური განცხადება საერთაშორისო მოლაპარაკების შედეგების შესახებ; 2. ბალახზე, ფოთლებზე შეყინული ცვარი; 3. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 4. უმაღლესი სათათბირო ორგანო ძველად საქართველოში; 5. ტრაგედია „ოიდიპოს მეფის“ პერსონაჟი; 10. ხალხური ზეპირსიტყვიერება; 11. ბაბილონის დედოფალი; 12. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი, კინორეჟისორი მამაკაცი; 15. სამფენოვანი მინა; 16. ფულის ერთეული უკრაინაში; 17. ბედიღბლიანობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 20. კათოლიკე მღვდელი ბელგიასა და საფრანგეთში.

**თარაზულად:** 6. სხვისი რწმენის, აზრების შემწყნარებლობა; 7. ისტორიული მოედანი პარიზში; 8. ხატვის ერთ-ერთი ჟანრი; 9. მხარე ავსტრიაში; 13. დაბალი ხარისხის თამბაქო; 14. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 18. პრეზიდენტის რეზიდენცია რომში; 19. კლიმატური კურორტი ხონის რაიონში; 21. ოსური ცეკვა; 22. მთიანეთი აზიაში; 23. ზღვის სიღრმეების საკვლევი ჰერმეტული კამერა; 24. სახარატო ჩარხის მბრუნავი ლილვი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. სპირალი; 2. ამირანი; 3. ციცერონი; 4. პოშეტი; 5. კარმენი; 8. ჩარდაში; 9. ფიტომალი; 12. ბარტოლდი; 13. ინგლისი; 16. ბერიკები; 17. პარტერი; 19. ალკენი; 20. მოხელე.

**თარაზულად**: 6. ოპტიმიზმი; 7. ხორბალი; 8. ჩხეიძე; 10. იავნანა; 11. კერი; 14. კინტრიში; 15. ბრასკუბა; 18. ბემოლი; 21. ლესტერი; 22. ჰონდა; 23. იანუსი; 24. პისტოლეტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. საგურამო; 2. ოჯალეში; 3. ელისო; 4. ხურჯინი; 5. ბავარია; 10. სალივანი; 11. იანქოშვილი; 12. ღვეზელი; 15. ბარანდოვი; 16. მაიამი; 17. პალანგა; 20. დათვი.

**თარაზულად**: 6. სარაჯიშვილი; 7. თუშმალი; 8. არომატი; 9. ლავაში; 13. საბა; 14. მართვე; 18. უზუფრუქტი; 19. კანტი; 21. ყანწი; 22. ვინიცა; 23. მანდარინი; 24. გრინფისი.

# ბაჩანა ბრეგვაძეს მთაწმინდის პანთეონში დაკრძალავენ

მეცნიერს, მწერალსა და მთარგმნელს ბაჩანა ბრეგვაძეს მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალავენ. თავდაპირველად საზოგადოებაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მას საბურთალოს პანთეონში დაკრძალავდნენ, რასაც მოქალაქეების მხრიდან პროტესტი მოჰყვა. შეიქმნა სპეციალური პეტიცია ბაჩანა ბრეგვაძის მთაწმინდის პანთეონში დაკრძალვასთან დაკავშირებით.



მწერლის მთაწმინდის პანთეონში დაკრძალვის გადაწყვეტილება სახელმწიფო დამკრძალავმა კომისიამ მიიღო. ამავე კომისიის რეკომენდაციით, თბილისის ერთ-ერთ ქუჩას სწორედ ბაჩანა ბრეგვაძის სახელი მიენიჭება.

პრემიერ-მინისტრი აკადემიკოს ბაჩანა ბრეგვაძის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს:

– ძნელია, მოძებნო სიტყვები, ბაჩანა ბრეგვაძის გარდაცვალებით გამოწვეულ დანაკლისს რომ გამოხატავს – ფილოსოფოსი, მოაზროვნე, მთარგმნელი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, უბრალოდ, დიდი ადამიანი – კაცი, რომელმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ერის ინტელექტუალურ და სულიერ ცხოვრებაში. მსოფლიო შედევრთა თარგმანები და სამეცნიერო ნაშრომები მის სიცოცხლეშივე იქცა ქართული კულტურის საგანძურად. ვუსამძიმრებ ბაჩანა ბრეგვაძის ოჯახს და მთელ საქართველოს.

სახელმწიფო დამკრძალავი კომისია პრემიერ-მინისტრის დავალებით შეიქმნა და სხვადასხვა უწყების წარმომადგენლით დაკომპლექტდა.

ქართველი მეცნიერის, მთარგმნელისა და მწერლის, ბაჩანა ბრეგვაძის დაკრძალვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს მთლიანად სახელმწიფო დაფარავს. მწერალს სიონის ტაძრიდან გამოასვენებენ და მთაწმინდის პანთეონში დაკრძალავენ.

# სამგლოვიარო განცხადებები



## ნუგზარ იოსელიანი

კიდევ ერთი კეთილშობილი, მოსიყვარულე ვაჟკაცი დააკლდა ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს, ქუთაისს. დაგვიტოვა დიდი სევდა და გულისტკივილი. უფალმა გაანათლოს, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული, ჩვენო ნუგო.

**მეგობრები**



საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიამ და მთელმა ქართველმა ინტელიგენციამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა კლასიკური და ახალი დროის დიდ მოაზროვნეთა თხზულებების უბადლო, დაუცხრომელი მთარგმნელი და კომენტატორი, მწერალი და ფილოსოფოსი

## ბაჩანა ბრეგვაძე

ჩამოსათვლელადაც კი ძნელია იმ მრავალრიცხოვანი ეპოქის შემქმნელი თხზულებებისა, რომლებიც მან ქართველ მკითხველს აზიარა თარგმანებისა და შესაბამისი ვრცელი გამოკვლევების თანხლებით.

განსვენებული იყო არაჩვეულებრივად კეთილშობილი ადამიანი, თავმდაბალი, უპრეტენზიო და ჭეშმარიტი მეგობარი, რასაც ჩვენი აკადემიის წევრები ყოველდღიურად გრძნობდნენ. ვემშვიდობებით რა ქართული ფილოსოფიური აკადემიის ბრწყინვალე წარმომადგენელს, გვანუგეშებს ძველი ლათინური ფრაზა: „non omnis moriar“ („ყველა მოკვდავი არ არის“).

**საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი**

ასოციაცია მესხეთის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება ასოციაციის გამგეობის წევრის, აკადემიკოსის

**პეტრე მერაბიშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სამძიმარს უცხადებს უმაღლესი საბჭოს აპარატის დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს, ქალბატონ ნინო კუკავას დედის

**ინეზა სართანია-კუკავას**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# „ჩემი ცოლის დაქალების“ მსახიობი გარდაიცვალა

გახმაურებული ქართული სერიალის „ჩემი ცოლის დაქალების“ მსახიობი მოულოდნელად გარდაიცვალა.

ალეკო ალავიძე 73 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა. მაყურებელს ის კარგად ახსოვს სერიალიდან „ჩემი ცოლის დაქალები“, სადაც ხურცილავას მამის როლს განასახიერებდა.

ალეკო ალავიძე მრავალი წელი ახმეტელის თეატრის მსახიობი იყო, ნათამაშები აქვს მრავალ სპექტაკლში და გადაღებულია ფილმებში.



# ლაშა ღლონტმა 5-დღიანი ძებნის შემდეგ მამა გარდაცვლილი იპოვა



მომღერალმა ლაშა ღლონტმა 5-დღიანი ძებნის შემდეგ მამა გარდაცვლილი იპოვა. ინფორმაცია ბათუმში 76 წლის მამაკაცის დაკარგვის შესახებ რამდენიმე დღის წინ გავრცელდა. როგორც ინფორმაციაში იყო აღნიშნული, მას სკლეროზი აწუხებდა.

ლაშა ღლონტი:

– უმძიმესი წუთები მიდგას, ტრაგიკულად გარდაცვლილ მამას, რომლის ცხედარიც 5 დღის ძებნის შემდგომ წყალში ვიპოვეთ, ღამეს ვუთევ.

მახსენდება მასთან ერთად გატარებული ყოველი წამი.

უცებ, თითქოს არაფერ შუაში, გონებაში ამოტივტივდა ერთი ისტორია: შეყვარებული ვიყავი და ჩემს მომავალ მეუღლესთან თეასთან ერთად ბათუმის ქუჩებში ვსეირნობდი. ერთ-ერთ კაფეში მამაჩემის ძმაკაცი, ნუგზარ ჯაფარიძე შემხვდა. რომ დამინახა გოგოსთან ერთად, ფეხზე წამოდგა, თეას ხელზე ეამბორა, ერთი წუთითო გვითხრა და სადღაც გაუჩინარდა. 5 წუთში იგი თეთრი ვარდების უზარმაზარი თაიგულით მოგვევლინა.

ამ ამბის მერე, იგი მალე გარდაიცვალა.

უკვე ძალიან გვიანია, დილის 4 საათი. ვდგავარ მამის კუბოსთან მარტოდმარტო და მიხარია, რომ არ გამწირა უფალმა და ცხედარი მაინც ვიპოვე.

უცებ კარზე მორიდებული კაკუნის ხმა შემომესმა, მივედი და კარს უკან ბატონი ნუგზარის შვილი, ზალიკო იდგა.

,,უკაცრავად, ლაშა, შეიძლება მამათქვენს ფსალმუნი წავუკითხოო“. იგი დილამდე იდგა მამაჩემის კუბოსთან და ჩუმად, თვალცრემლიანი ფსალმუნს კითხულობდა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

**სპორტი**

# ლოკომოტივის ფეხბურთელს პუტინის გამოსახულებიანი მაისური ეცვა




სტამბოლის ფენერბახჩესა და მოსკოვის ლოკომოტივს შორის გამართულ შეხვედრაში საინტერესო ფაქტი მოხდა.

მატჩის დამთავრების შემდეგ ლოკომოტივის ფეხბურთელმა დიმიტრი ტარასოვმა მაისური გაიხადა, მის შიდა მაისურზე კი რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი იყო გამოსახული წარწერით „ყველაზე თავაზიანი პრეზიდენტი“.

ეს ჟესტი ძალიან არ მოეწონათ უეფას წარმომადგენლებს, რომლებმაც განაცხადეს, რომ ამას შესაძლოა ფანების გაღიზიანება გამოეწვია, რადგან რუსეთსა და თურქეთს შორის დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობაა.

არ არის გამორიცხული, რომ ტარასოვს საკმაოდ ხანგრძლივი დისკვალიფიკაციაც მისცენ.

თვითონ ფეხბურთელმა განაცხადა, რომ მან უბრალოდ თავისი პატივისცემა გამოხატა პუტინის მიმართ და მეტი არაფერი.

ფენერბახჩე და ლოკომოტივი ევროპის ლიგის მეთექვსმეტედფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და მატჩი თურქული გუნდის გამარჯვებით 2:0 დასრულდა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# საქართველოს თასზე ნახევარფინალისტები დაწყვილდნენ




ფეხბურთის ფედერაციაში საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების ნახევარფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართა.

**ნახევარფინალში გუნდები შემდეგნაირად დაწყვილდნენ:** დინამო (თბ) – ჩიხურა; ვიტ ჯორჯია – სიონი;

ფავორიტებად დინამო და სიონი უნდა მივიჩნიოთ. დინამო საკმაოდ ძლიერად გამოიყურება ჩემპიონატში, პლუს ახალი უცხოელი მწვრთნელი ჰყავს, რომელმაც შეკრებაზე გუნდს კარგი მატჩები ჩაატარებინა. სიონიც საკმაოდ მოძლიერდა, მეტოქე კი პირველლიგელია.

საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალური ეტაპის პირველი მატჩები 20 აპრილს ჩატარდება, განმეორებითი კი 5 მაისს შედგება.

ფინალი 18 მაისს გაიმართება.

# სიმონე ძაძამ იუვენტუსი გაალიდერა

სიმონე ძაძას გოლის დამსახურებაა, ტურინის იუვენტუსი სერია ა-ს რომ ლიდერობს. სასუოლოს ექსფორვარდმა ნაპოლისთან უმძიმეს მატჩში მეტად საჭირო 3 ქულა მოუტანა საკუთარ გუნდს.

ბუნებრივია, ახალგაზრდა ფორვარდი ნასიამოვნებია და მოცემული მომენტით ტკბება.

**სიმონე ძაძა:**

– სამწუხაროდ, აქამდე მოედანზე ბევრი დრო არ გამიტარებია. თუმცა, მიღწეულით ბედნიერი ვარ და მერწმუნეთ, ცდას არ დავაკლებ შედეგის კიდევ უფრო გაუმჯობესებისთვის.

***– რა განწყობით გადიხართ იუვე არენაზე?***

– ეს არენა გამორჩეულია. მეტოქის რანგში აქ არაერთხელ მიასპარეზია, თუმცა სულ სხვა შეგრძნება იყო, როცა შავ-თეთრი მაისურით სევილიასთან და ტორინოსთან გოლების გატანა შევძელი. ტრიბუნები დაინგრა და ეს ფანტასტიკური ემოცია იყო.

***– თავდამსხმელებიდან ვინ არის თქვენი კერპი?***

–კონკრეტულად კერპზე ვერაფერს ვიტყვი, ისე კი ძალიან მომწონდა და მომწონს მარკო ვან ბასტენის, ბრაზილიელი რონალდოს, დიდიე დროგბასა და ზლატან იბრაჰიმოვიჩის თამაში.

***– რას ნიშნავს თქვენთვის იუვენტუსი?***

– სიამაყეს. უსაზღვროდ ბედნიერი ვარ აქ ყოფნით! იყო პერიოდი, როდესაც კლუბს და მის ქომაგებს ნაკლებად ვიცნობდი, მაგრამ ახლა სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. ტიფოზერიასთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს და მათ მხარდაჭერას მუდმივად ვგრძნობ. ეს კი ნებისმიერი სპორტსმენისთვის დიდი სტიმულია. ჩემი მიზანია, იუვეში რაც შეიძლება დიდხანს დავრჩე და გამორჩეული წვლილი შევიტანო მის წარმატებაში.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## პროგრამა

**ხუთშაბათი 18 თებერვალი**

**06.30** მუსიკა **07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.00** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** დ/ფ "თოფგიარი" **12.30** "ტრანსმისია" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **14.30** ან/ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "ჯეიმის ამერიკული საგზაო თავგადასავალი" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** "ინტერვიუ" – სალომე ასათიანთან ერთად **21.00** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** დ/ფ "თოფგიარი" **23.00** ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**კაცობრიობის შვილი**" (ჯ.მური)

**08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **11.00** დ/ფ "ვისუნთქოთ ან არ ვისუნთქოთ" **13.00** დ/ფ "პროფესორ ომიშენის წარმოუდგენელი მფრინავი მანქანები" **14.00, 16.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (5 ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.30, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.25** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 10.05** იმედის დილა **10.05** სერ. "**ოცი წუთი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" 9 სერ **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** მხ/ფ "**პირდაპირი მუქარა**" (უ.დეფო) **02.35** სერ. "**პუაროტა**" 4 სერ. **04.15** ერთხელ საქართველოში **04.40** მხ/ფ "**იღბლიანი სლევინი**" (ბ.უილისი)

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**აღთქმა**" **22.00** პროფილი **00.00**P.S.**01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.30, 18.30** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები. **9.00, 15.30** Discovery. ისტორიის საიდუმლოებათა ამოხსნა ოლი სტიდსთან ერთად **10.00** ან/სერ. "**ავატარი ლეგენდა აანგის შესახებ**" **11.00, 22.00** მზარეულები **11.30** შუადღე **14.00, 20.00** ცოლები და ქმრები **14.30, 19.00** სერ. "**ახალი გოგო**" **15.00, 19.30** სერ. "**ცენტრი**" **16.30** აირჩიე კაბა **17.30** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **20.30 20.30** LIVE **22.30** ბინა 18 **23.30** მხ/ფ "**სიკვდილის გზაგასაყარი**" **0.55 ID Extra** - სასჯელს თითქმის გავექეცი **1.55,** URBAN STORIES **2.45** ჯიდიპედია

**06.15** ჩვენი ფონდი **06.40** პატერიკი **06.50** სჯანი "ინდუიზმი" **07.05** ქართული ალბომი **07.50** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** დ/ფ "ორი სამშობლო" **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "ურთხმელი" **15.05** ივერიის ეკლესია **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.50** ჩვენი ფონდი **16.20** დ/ფ "მაცხოვრის სუდარა" **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო-ეკლესიის მსახურება **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები **20.00** სიმღერის კვალდაკვალ **20.40** ძილი ნებისა "ეკლესიური ცხოვრება" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** თვენი **21.30** ლექციები მეფუტკრეობაზე **21.45** ფსალმუნის განმარტება **22.25** დ/ფ "ქართული გალობა რომში" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **01.25** შუადღე ერთსულოვნებაზე

**მაესტრო** **07.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 02.00**"კონტაქტი" **07.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **07.55** "საქმიანი დილა" **10.05** სერ. "**სხვისი სხეული**" **11.05** სერ. "**ქუჩეი და გუნეი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დ/ფ "პროფესია მოგზაური" **14.00** "კონტაქტი" **14.05, 15.30, 16.05, 17.05, 01.00** სერ. "**კარმელიტა**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 02.30** სერ. "**ბერძენი ქალი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45, 22.30** სერ. "**მხსნელი სიყვარული**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**18 თებერვლისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4914

ევრო — 2.7841

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6041

100 რუსული რუბლი — 3.2229

## ამინდის პროგნოზი 18 თებერვლისთვის






## კალეიდოსკოპი

### ბრიტანელი მოსწავლე გრძელი თმების გამო აითვალწუნეს



შოტლანდიის ქალაქ სოლტკოტსის სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეებმა აითვალწუნეს და მასხრად იგდებდნენ თანაკლასელს, მისი უჩვეულოდ გრძელი თმების გამო. როგორც 15 წლის ერონ ფერნანდოს დედამ განაცხადა, ის იძულებული გახდა შვილი სახლის პირობებში მეცადინეობაზე გადაეყვანა.

გოგონამ, რომლის თმების სიგრძე 132 სანტიმეტრია, ამ ყოველივეს მიუხედავად, თმის შეჭრაზე უარი განაცხადა. ასევე, მისი თქმით, ის სკოლაშიც აღარ ივლის.

— დამცინოდნენ არა მხოლოდ გოგონები, არამედ ბიჭებიც და ყოველდღე ამას სულ უფრო გამაღიზიანებლად აკეთებდნენ, — განაცხადა ფერნანდომ.

— ეს საზიზღრობა იყო და მე ვხედავდი, რომ ჩემი გოგონა თავს სულ უფრო ცუდად გრძნობდა, — განმარტა მოზარდის დედამ სიუზან ფერნანდომ.

აღსანიშნავია, რომ თავად გოგონას სიმაღლე მხოლოდ 30 სანტიმეტრით აღემატება მისი თმის სიგრძეს.

### ჩინელმა პენსიონერმა სიყვარული ცათამბჯენზე გამოსახა



ჩინეთის პროვინცია ჩჟეცზიანში პენსიონერმა გადაწყვიტა, მეუღლისთვის წმინდა ვალენტინის დღე მრავალსართულიანი სასტუმროს დაქირავებით მიელოცა, რათა მის ნომრებში ანთებული სინათლეებით გამოესახა სიყვარულის ახსნა.

84 წლის ციაო დევემის მიერ მოფიქრებული ილუმინაციის წყალობით, ცათამბჯენზე გამოისახა 218 მეტრიანი წარწერა ინგლისურ ენაზე „მე შენ მიყვარხარ“.

პენსიონერმა მამაკაცმა ასევე თავის 83 წლის მეუღლეს ლიუ შისიუს გადასცა ყვავილების თაიგული. იმ მომენტში ქალს ეცვა თეთრი საქორწინო კაბა, ხოლო თავად მამაკაცს შავი საქორწინო კოსტუმი. ციაოს თქმით, მას სურდა ასეთი სახით მიელოცა თავისი მეუღლისთვის მათი დაქორწინების 67-ე წლისთავი.

სასტუმროს თანამშრომლებმა წყვილისთვის გამოყოფილი ნომერი ვარდის ფურცლებითა და გედების ფიგურებით მორთეს.

### მოღუშულსახიანი კატა სოციალური ქსელის ახალ ვარსკვლავად იქცა



მოღუშულსახიანი კატა, სახელად კოიუკი, სოციალური ქსელების ახალ „დედოფლად“ და ბრაზიანი კატის მეტოქედ გადაიქცა. მის ინსტაგრამს უკვე 16 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს, ხოლო ტვიტერში მათი რაოდენობა 40 ათასს აჭარბებს.

შოტლანდიური ჯიშის კატა კოიუკი იაპონიის ქალაქ იოკოჰამაში ცხოვრობს და ის ცხრა წლისაა.

— მოერიდე, ბრაზიანო კატავ. ქალაქში ახალი უკმაყოფილო კატაა და მას კოიუკი ჰქვია, — დაწერა ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ, რომელმაც ასევე აღნიშნა, რომ კატა, იმის ნაცვლად, რომ ადამიანებს თავისი გამომეტყველებით შიშს უნერგავდეს, პირიქით, მათ გულებს თავისი გამომეტყველებით იპყრობს.

### ჰიტლერის ხმაზე მყვირალა კიბორჩხალა ინტერნეტის გმირად იქცა




იუთუბის ერთ-ერთმა მომხმარებელმა საკუთარ აკაუნტში განათავსა ვიდეო, რომელშიც ახმოვანებს დანით შეიარაღებულ კიბორჩხალას, რომლის დროსაც ბაძავს შვეიცარიელ მსახიობ ბრუნო განცს, რომელმაც ჰიტლერის როლი შეასრულა ფილმში „ბუნკერი“. ამ ვიდეორგოლმა ორ დღეზე ნაკლებ დროში საკმაო პოპულარობა მოიპოვა და 257 ათასი ნახვა მოაგროვა. ვიდეოჩანაწერში ჩანს, რომ კიბორჩხალას მარწუხით დანა უჭირავს და ცდილობს გაექცეს მამაკაცს, რომელიც გერმანულ ენაზე უყვირის და ვიდეოზე იღებს. ვიდეორგოლისთვის გაკეთებულ კომენტარში მისი ავტორი წერს, რომ დანით შეიარაღებული კიბორჩხალა მისთვის „ყველაზე ცუდი ღამის საშინელება“ იქნებოდა. სადაა ვიდეორგოლი გადაღებული, უცნობია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა





## 18 თებერვლიდან გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

მერაბ ნინიძის ავტობიოგრაფიული წიგნი

## მთავარია, მსახიობი არ გამოხვიდე

ეს წიგნი იმ ემიგრანტის ჩანაწერებია, 20 წლის წინ რომ დატოვა საქართველო და ევროპაში იპოვა თავისი ადგილიც და როლიც, იმ სუპერპოპულარული მსახიობის ამბავი, რომლის სახელსაც თბილისურ კორპუსებზეც აწერდნენ მისი თაყვანისმცემლები.

ყველაზე მთავარი აქ მაინც მერაბ ნინიძის შესაშური გულწრფელობაა, რაც ამ წიგნში შესულ ყველა ამბავსა და ეპიზოდს სანდო, საინტერესო და განუმეორებელ საკითხავად აქცევს.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**


### კარლო ანჩელოტიმ მესი და სუარესი გააკრიტიკა



მესის და სუარესის მიერ გათამაშებულ თერთმეტმეტრიანზე საუბრები არ წყდება. შეგახსენებთ, რომ მესიმ დარტყმის მაგივრად ბურთი სუარესს გაუგორა და ბარსელონამ ასე ორიგინალურად მოახერხა მეტოქე გუნდის კარის დალაშქვრა. ბევრ ადამიანს ეს ილეთი ძალიან მოეწონა, თუმცა ზოგმა ბარსელონას ფეხბურთელები გააკრიტიკა კიდეც.

ერთ-ერთი ადამიანი, ვისაც მესის და სუარესის ეს ჟესტი არ მოეწონა, მადრიდის რეალის ყოფილი დამრიგებელი კარლო ანჩელოტია.

მისი თქმით, ასეთი რამ მეტოქე გუნდის შეურაცხყოფაა.

— ვფიქრობ, მესის და სუარესს მეტი პატივისცემა მართებს მეტოქეების მიმართ. მათ რომ იგივე იტალიაში გაეკეთებინათ, საკუთარ თავს პრობლემებს შეუქმნიდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ესპანეთში ეს ნორმალურია, — განაცხადა ანჩელოტიმ.

ანჩელოტიმ რეალის და ბარსელონას დაპირისპირებაზეც ისაუბრა და თქვა, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა.

### ჩელსი ტონი კროოსის ყიდვას შეეცდება



ლონდონის ჩელსი ზაფხულში სერიოზულად გეგმავს გაძლიერებას. გუუს ჰიდინკის გუნდი ახალი ფეხბურთელების შეძენას შეეცდება და ერთ-ერთი სამიზნე რეალის გერმანელი ნახევარმცველი ტონი კროოსია.

ინგლისურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჩელსი რეალს ოფიციალური წინადადებითაც მიმართავს, თუმცა სატრანსფერო თანხა ჯერჯერობით უცნობია.

ტონი კროოსი რეალის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია, ამიტომ ჩელსის მისი გადმობირება ძალიან გაუჭირდება. გარდა ამისა, კროოსი საყრდენი ნახევარმცველია და სამეფო გუნდის თამაშიც ნახევარდაცვაში დიდწილად სწორედ მასზეა დამოკიდებული. წლევანდელ სეზონში გერმანელმა ფეხბურთელმა ესპანეთის ჩემპიონატში ყველა შეხვედრა ძირითად შემადგენლობაში დაიწყო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა



## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

— სად იყავი გუშინ, რომ არ ჩანდი?

— ქორწილში ვიყავი.

— მერე, კარგი დრო გაატარე?

— თეფშებს ისეთი სისწრაფით ცვლიდნენ, რომ გოჭი და ტყემალი ერთმანეთს ვერ დავამთხვიე.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— ჩემი აზრით, სიდედრს ორ კბილზე მეტი არ სჭირდება.

— რისთვის?

— ერთი მუდამ უნდა სტკიოდეს და მეორე კიდევ ლუდის ბოთლის გასახსნელად!

●●●

ამბობენ, რომ მათემატიკოსები უსასრულობამდე სვამენ, ფიზიკოსები — სიმძიმის ცენტრის დაკარგვამდე, ხოლო ბუღალტრები — ბალანსის...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— გაიგე ახალი ამბავი?

— რა მოხდა?

— ჩვენი მთავრობის წევრებისთვის გასაბერი ქალები დაურიგებიათ.

— მერე?

— მერე ტყუილებით ბერავენ.

●●●

სოფელში მეზობლებმა ხე მოჭრეს და მერე კუნძის ამოთხრა სცადეს. ბევრს წვალობენ, ხან ერთი მხრიდან მიუდგნენ, ხან მეორე, ამ დროს რაიონის გამგებელმა ჩამოიარა, შეხედა და დამცინავი ღიმილით ეუბნება:

— მაგას თქვენ ვერ მოერევით, „კრანი“ უნდა, „კრანი“.

ერთ-ერთმა მეზობელმა უპასუხა:

— რა ვიცი, ძამა, შენ ერთმა გამგებელმა მთელი რაიონი მოგვთხარე და დავიჯერო, ამ ერთ ჯირკვს ხუთი კაცი ვერ მოვერევით?

●●●

გვიან ღამით კარზე აკაკუნებენ. სახლის პატრონი კითხულობს:

— ვინ ხართ?

— მძარცველები.

— რა გინდათ?

— ოქრო.

— რამდენი?

— 100 კილო.

— 105 რომ იყოს?

— მოიტა.

— ქალო, ჩემო ოქრო. ადექი, მოგაკითხეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. საქონლის, პროდუქციის შემოტანა საზღვარგარეთიდან; 2. ხმის სახშობი მოწყობილობა ჩასაბერ მუსიკალურ ინსტრუმენტებში; 3. ქალაქის მცხოვრებთა სახელწოდება ძველად გერმანიაში; 4. ქართველთა სათვისტომო მამული პარიზში; 5. ვეშაპებზე სანადირო, სატყორცნი იარაღი, ბარჯი; 8. მანძილის საზომი ერთეული ასტრონომიაში; 9. ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში; 12. ქართველი კინომცოდნე, კინოკრიტიკოსი მამაკაცი; 13. ისტორიული ტაოს კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი; 16. მარტვილის ძველი სახელწოდება; 17. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 19. ქართული ტელეკომპანია; 20. ანგორული თხის მატყლი.

**თარაზულად:** 6. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ოქრომჭედელი; 7. უკრაინის მმართველთა ტიტული ძველად; 8. გულუხვი მასპინძელი; 10. ხატვის ერთ-ერთი ჟანრი; 11. ცეცხლსასროლი იარაღის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი გერმანიაში; 14. ანდალუზიელი ბოშების საცეკვაო-სასიმღერო სტილი; 15. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური გერმანიაში; 18. ბაყაყის ძველი ქართული სახელწოდება; 21. მაღალმთიანი კურორტი გურიაში; 22. საკონდიტრო ნაწარმი; 23. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 24. სამონასტრო კომპლექსი მცხეთის მახლობლად.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

